# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 30 ნოემბერი, 2010 წელი.

№222 (6588)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


იყიდება საქართველო!

## რეფორმებით „გაბურებული" ქვეყანა...

3 6

## რა უხარიათ არაკაცებს?

ფიქრები სახალხო კრების შემდეგ

3



**ვაჟა ბერიძე:**

საქართველოს არავინ ეკითხება, ვინ იქნება ამ ქვეყანაში მმართველი ძალა და როგორ განვითარდება მოვლენები

4

- თომას ფლეთჩერს ახალი დირექტორი დაუნიშნეს
- მგლებმა აიმღეს სამეგრელო! 7
- „ბაია" სულს ღაფავს!

**ზაზა ფირალიშვილი:**

# სააკაშვილთან ძველი მეთოდებით ბრძოლა გაუმართლებელია

2 4



## ინფლაციის ორნიშნა ზღვარზე

6

**ლეონიდ პარფიონოვი:**



## ჟურნალისტი ვარ და არა პოლიტიკოსი

5

განა რით, ძმანო – გამჭვირვალობით, ქამრის მოჭერით... მგაცებლობითა და ხვეჭით

8



## გამოსასვლელი დღის ზომბები

## რას ითხოვს ხალხი?



3

გავუფრთხილდეთ პლანეტარულ განძს!



9

სახალხო მხატვარი ფიროსმანი



ჭეშმარიტად დიდებული პიროვნება

7

კრიმინალი



# ორი აფეთქება თბილისში

**კვირას, ღამის ორის ნახევარზე ჯავახიშვილის ქუჩის 88 კორპუსთან აფეთქება მოხდა. დაზიანდა ლეიბორისტული პარტიის ოფისი. იმავე ღამეს დაახლოებით სამი საათისთვის, ასეთივე აფეთქება მოხდა მუხიანის პირველი მიკრორაიონის ნომერ 13 კორპუსში მდებარე სუპერმარკეტის წინ.**

გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო აწარმოებს. საქმე ტერაქტის კვალიფიკაციით აღიძრა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, კრიმინალისტური სამსახურის მიერ აფეთქების ადგილას ჩატარებული ექსპერტიზის პირველადი შედეგები ცხადყოფს, რომ ორივე შემთხვევაში გამოყენებული იყო ერთი და იმავე ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერება. საბედნიეროდ, ჯავახიშვილის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას ერთი ქალბატონი, 58 წლის ნინო გორდეზიანი ემსხვერპლა. მას მინის ნამსხვრევი გულის არეში მოხვდა.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა მომხდარ აფეთქებას ლეიბორისტების პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს და აცხადებს, რომ მათ პოლიტიკური ტერაქტი მოუწყვეს. მისი თქმით, ის მოწყობილობა, რომელიც ჯავახიშვილის ქუჩაზე აფეთქდა, მხოლოდ სპეცსამსახურების არსენალში მოიპოვება.

აფეთქების შედეგად ლეიბორისტების ოფისში განსაკუთრებით დაზიანებულია პაატა ჯიბლაძის კაბინეტის კედლები. აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ ეზოებში შეაღწია და ფანჯრები დააზიანა.



თითქმის ისეთივე სიძლიერის აფეთქება იყო მუხიანში ნონეშვილის ქუჩაზე. სუპერმარკეტ „ელენეს" შესასვლელი კიბის გვერდით დადებულმა ასაფეთქებელმა ნივთიერებამ მაღაზია ძლიერ დააზიანა. როგორც მეპატრონე იუზა პიპინოვა აცხადებს, ზარალი 15 ათას ლარს შეადგენს. მუხიანშიც ჩამსხვრეულია კორპუსების კარფანჯრები.

აფეთქების ადგილებში აზომვითი სამუშაოები მალევე დაიწყო ძველი თბილისის გამგეობამ და მოსახლეობის შენობის რეაბილიტაცია საკუთარ თავზე აიღო.

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განცხადება გაავრცელა: „აფეთქების სხვა დეტალების გარკვევას დრო ესაჭიროება, როგორც კი კრიმინალისტიკური ექსპერტიზის საბოლოო შედეგები გახდება ცნობილი, შინაგან საქმეთა სამინისტრო მათ შესახებ საზოგადოებას შეატყობინებს", – ნათქვამია ტექსტში.

**ნია ფიფია**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ინფორმაცია

## მონტენეგრო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს

**მონტენეგრო საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.**

**შესაბამისი პოზიცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრაზე მონტენეგროს ვიცე პრემიერ-მინისტრმა იგორ ლუკშიჩმა დაადასტურა.**

– შეხვედრაზე მონტენეგროს მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, ასევე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესისადმი, – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

პოზიცია

# სააკაშვილთან 80-90-იანი წლების მიჯნის მეთოდებით ბრძოლა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია

**გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი**



**– ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებდით სახალხო კრებას. თქვენი აზრით, რა როლს შეასრულებს კრება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში? რამდენად რეალისტურია დაუმორჩილებლობისთვის მზადება და რა რეალური შედეგი შეიძლება მოჰყვეს კრების მიერ საკონსტიტუციო ცვლილებებისადმი უნდობლობის გამოცხადებას?**

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ელოდნენ თავად კრების ორგანიზატორები კრების დღისგან. თუ ისინი ასიათასობით ადამიანის მოსვლას და ასეთი საყოველთაო მხარდაჭერის ფონზე პარალელური ხელისუფლების შექმნას ვარაუდობდნენ, არ უნდა დარჩენილიყვნენ კმაყოფილები. ის განცხადება, რომ პარლამენტის წინ შეკრებილი 15000 ადამიანი 850000 ადამიანის არჩეული დელეგატი იყო, დიდად არ ცვლის ვითარებას. არ არის გამორიცხული, მათ იმედი აქვთ, რომ ხვალ და ზეგ კიდევ უფრო მეტი ადამიანი მივა. ეჭვი მეპარება, ასე მოხდეს. რაც შეეხება დაუმორჩილებლობის გამოცხადებას, ამგვარ რამეს მხოლოდ საყოველთაო მხარდაჭერის შემთხვევაში თუ ექნებოდა აზრი. ამის ნიშნები, ჯერ მაინც არ ჩანს. ალბათ, ამიტომაც გამოაცხადეს დაუმორჩილებლობისთვის მზადება.

აშკარაა, რომ რადიკალურ ოპოზიციას კრიზისი დაუდგა. 2007 წლის შემდეგ რადიკალურმა განცხადებებმა დაკარგა ძალა და გავლენა. 2007 წელს რიგითი ადამიანებისთვის მთავარი სატკივარი ხელისუფლება იყო, ადამიანთა უდიდესი მასებიც სწორედ ხელისუფლების წინააღმდეგ ამოძრავდა და არა – ვინმეს მხარდასაჭერად. ადამიანებს მხოლოდ საბაბი სჭირდებოდათ და ოპოზიციამ მისცა ეს საბაბი. პროცესების გაჭიანურებამ კი ყოველ ჩვენგანს დაანახვა, რომ საქმე არ ეხებოდა მხოლოდ ხელისუფლებისთვის პროტესტის გამოცხადებას, რომ ამით უნებურად მხარს ვუჭერდით იმათ, ვინც ნამდვილად არ იყო ხელისუფლებაზე უფრო სასურველი. ვფიქრობ, სწორედ ეს არის არსებითი მომენტი. სააკაშვილმა სწორედ ეს კარტი გაათამაშა და საკმაოდ წარმატებულადაც. მან პროცესების გაჭიანურებით დაგვანახვა, რომ ჩვენი სატკივარია არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი სრულიად უმწეო აღმოჩნდა, საპროტესტო მუხტი და ენერგია რეალურ პოლიტიკურ ძალად ექცია. ამგვარი ოპოზიცია უმალ ხელისუფლების მეხამრიდის როლს ასრულებს. მავანთა რადიკალური და რევოლუციური ფრაზეოლოგიით საინფორმაციო სივრცის გაჯერებით ხდება ოპოზიციური აზრისა და მოძრაობის სიმულირება, თუ გნებავთ, მოდელირება. ხდება ის, რაც სინამდვილეში არ ხდება და მავანი პოლიტიკური მოღვაწეები, სურთ თუ არა, მოდელირებული პროტესტის მონაწილეებად გვევლინებიან.

სიტუაცია ბოლომდე კარიკატურულ სახეს მიიღებს, თუ ქვეყანას კიდევ ერთი „კანონიერი და ხალხის მიერ არჩეული" ხელისუფლება მოევლინება, რომელსაც მაშინვე სათავეში ჩაგვიყენებენ, როგორც კი პროტესტი გაგვიჩნდება.

კრების ორგანიზატორებმა შეცდომით მიიჩნიეს კრების დღე 2007 წლის 7 ნოემბრისა და სხვა გიგანტური აქციების გაგრძელებად და დაავიწყდათ, რომ იგი, ამავე დროს წაგებული საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების გაგრძელებაცაა და ლაპარაკი იმაზე, რომ შეკრებას რაიმე ლეგიტიმურობა შეიძლებოდა ჰქონოდა, სულ მცირე, უხერხულია. სააკაშვილმა მიაღწია მთავარს: ამგვარი რადიკალური ოპოზიციის მეშვეობით მან დაფანტა ოპოზიციური მუხტი, ყველა ტიპის არჩევნები მოიგო, კონსტიტუცია გაინაღდა და დასავლეთთან წამხდარი ურთიერთობაც ერთგვარად გამოაკეთა.

უბედურება მხოლოდ ის კი არ არის, რომ სააკაშვილმა 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ძალაუფლება შეინარჩუნა, არამედ ისიც, რომ ოპოზიციის დიდმა ნაწილმა რაღაც მიახლოებაშიც კი ვერ აუღო ალღო საზოგადოებრივ პროცესებს და ადამიანებს ჯიუტად სთავაზობდა ერთი და იმავე რეპერტუარს. არადა, სააკაშვილმა 2007, 2008, 2009 წლების კრიზისებს გაუძლო და მასთან გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნის მეთოდებით ბრძოლა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია.

**– კრებამ შექმნა ადამიანის უფლებების დაცვის, ოსურ და აფხაზურ საზოგადოებებთან ურთიერთობის, საერთაშორისო ურთიერთობების, რეგიონული და ახალგაზრდული კომიტეტები. თქვენი აზრით, კრებამ ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნაზე თუ პარალელური სტრუქტურების შექმნაზე იზრუნა?**

– გარკვეულად ეს ასეა. პარალელური სახელისუფლო ცენტრის შექმნისა და ხელისუფლების ხავერდოვანი განიარაღების იდეა ქართულ პოლიტიკაში გაისმოდა ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს. გაიხსენეთ ეროვნული კონგრესი. იყო მცდელობები შევარდნაძის დროსაც. არც ისე შორეულ წარსულში ბევრი პოლიტიკოსი მონარქიული ოჯახის შექმნას სააკაშვილის ხელისუფლების პარალელური ხელისუფლებით ჩანაცვლების შესაძლებლობად განიხილავდა. ჩანს, იდეა, ჯერ მაინც, უკვდავია, თუმცა – უშედეგო. კრებაზე 100 000 ადამიანი რომ მისულიყო, ამ აქციას ლეგიტიმაციის ხარისხი ცმაღალი იქნებოდა და, შესაბამისად, უკვე სამთავრობო სტრუქტურების პარალელური სხვა კომიტეტების შექმნასაც შეიძლებოდა შევსწრებოდით.



**– დარჩა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზებულ აქციას საპროტესტო მუხტი აშკარად აკლდა. რა ხდება, ხალხი დაიღალა, ოპოზიციამ საზოგადოებას მოქმედების რეალური გზა ვერ დაანახვა, თუ ოპოზიციური სპექტრის გარკვეულ ნაწილს ხალხის ნდობის პრობლემა გაუჩნდა, როგორც ამას ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს?**

– ხალხი არ დაღლილა. უბრალოდ, იგი გრძნობს, რომ სცენარი, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია მას სთავაზობს, განხორციელების შემთხვევაში მასვე უქმნის საფრთხეს. განვლილმა წლებმა ბევრ ადამიანს ასწავლა, რომ მკვეთრი და ფართო მონასმებით ისიც შეიძლება დაიკარგოს, რაც გააჩნია, რომ პოლიტიკური ცხოვრება პროცესია და ნახტომისებური ცვლილებები უფრო მეტი ხიფათის შემცველია, ვიდრე სიკეთისა. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება, ვფიქრობ, ისეთივეა, როგორიც იყო 2007 წელს. თუ უბრალო ადამიანი თავისი პროტესტს არ აკავშირებს კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფთან, ეს არ ნიშნავს, რომ იგი დაიღალა ან პასიურია. უბრალოდ, იგი სხვა შემსრულებლებს და პოლიტიკური ქცევის სხვა პარადიგმას ეძებს. ვფიქრობ, რადიკალურ ოპოზიციას სწორედ ამისი აღიარება უჭირს და ისევ და ისევ 2003 წლის განმეორებას ცდილობს. როგორც ვნახეთ, ბრძოლაში ეკლესიის იერარქთა ავტორიტეტიც იქნა მოშველიებული, თუმცა უნდა გითხრათ, ეკლესიისადმი ნდობის მაღალი ხარისხი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ადამიანები მას პოლიტიკურ ინსტიტუციად განიხილავენ. მისი ნდობა კულტურულ-რელიგიური რიგისაა. მთავარია, ადამიანებმა ეკლესიასთან დაპირისპირებულად და ამით კულტურულ-ისტორიული იდენტობის ხელმყოფად არ მიგიჩნიონ. ამას კარგად მიხვდა სააკაშვილი – ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა.

**– ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასებით, კრების ორგანიზატორებმა საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი ცვლილებები ვერ გაითვალისწინეს. საუბარია აშშ-რუსეთის, ევროპა-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და იმაზე, რომ საქართველოში არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლების შეცვლის გზა პრაქტიკულად იმის გამოა გამორიცხული, რომ ასეთ ცვლილებას მხარს არავინ დაუჭერს...**

– სააკაშვილი ახერხებს, საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაგებ და მისაღებ ენაზე იმეტყველოს. დასავლეთში მას თავისიანად აღიქვამენ – შესაძლოა, რაღაცებში დამნაშავე, შემცდარ, მაგრამ მაინც თავისიანად. იგი ახერხებს, გარკვეულწილად მაინც შეინარჩუნის მითი „ვარდების რევოლუციის" შესახებ – ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში" გამოქვეყნებული მასალა ამის მშვენიერი მაგალითია. ვკითხულობდი და ისეთი გრძნობა მქონდა, რომ 2003 თუ 2004 წელი იყო დაწერილი, როდესაც ვარდების მოვლენებით ნაშობი ილუზიები ჩვენშიც და დასავლეთშიც ათასგზის უფრო ძლიერი გახლდათ. სააკაშვილის არასაარჩევნო გზით დამხობის იდეა მხოლოდ აღვიძებს და აძლიერებს ამ ილუზიებს. ასეთი რამ, თუნდაც მოხდეს, ახალ ხელისუფლებას იზოლაციაში აღმოაჩენს. ხოლო ის, თუ რომელი ქვეყნის ხელისუფლებას უყვარს ამგვარი გარიყული ქვეყნები და ვინ იყენებს მათ თავისი ნეოიმპერიალისტური მიზნებისთვის, ვფიქრობ, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

იხ. 4 გვ.

◎ განსჯა

# მთლად ისე არაა საქმე, არაკაცებს რომ ჰგონიათ და უხარიათ!

## ფიქრები სახალხო კრებამდე და კრების შემდეგ

***წინა** კვირას მძიმე ავად გავხდი. ყელში საშინელი ვირუსი ჩამიბუდდა, საჭმელ-სასმელს ვინ ჩივის, ნერწყვს ვერ ვყლაპავდი. წამლებს ხომ ცეცხლი უკიდია, ჩემი საცოდავი პენსია სამად სამ ამპულას ძლივს გასწვდა, მაგრამ სიცოცხლისთვის რას დაიშურებ კაცი.*

*არადა, ამ ყოფაში იმას ვნერვიულობდი, 25 ნოემბერი რომ ახლოვდებოდა, რისთვისაც ლამის მთელი წელი ვემზადებოდი. ჩვენმა ოპოზიციის ლიდერებმა ხომ ლამის გაზაფხულიდან დაპირისპირებით „დაგვაორსულეს“, აი შემოდგომასო...*

უფალმა ისმინა ჩემი ვედრება, მართალია, ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ თანამოაზრეთა ძველ გვარდიას მაინც შევუერთდი. და აი, ვსხედვართ იაპონურ „ჯიპში“ უკვე პროფესიონალი მომიტინგეები ზურაბ გიორგაშვილი, შალვა შემაზაშვილი, ჭიდაობაში მრავალგზის მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, შემდგომ ცნობილი მწვრთნელი კაკო სპანდერაშვილი, ხოლო საჭეს მართავს აფხაზეთიდან დევნილი პროკურორი მურმან ახალაია.

როდესაც სიცრუის ქვეყანაში ცხოვრობ, სამშობლო თავზე გემხობა, ირგვლივ ისეთი უზე-



დურება ტრიალებს, რომლის მსგავსი მეორე მსოფლიო ომის ჟამს არ გვინახავს (ის საშინელი წლები კარგად მახსოვსძ, კაცს, თუ ხარ კაცი, პროტესტის გრძნობა გიმძაფრდება. ის კი არა, მამულისთვის სიკვდილიც კი გენატრება...

– ხედავთ, შალვა, როგორც ყოველთვის, განზე გადგა, – ზურაბი ლეიბორისტებზეა განაწყენებული.

– შენ კიდევ გჯერა მათი, – მორგივით კისერს ძლივს ატრიალებს აფხაზეთიდან გამოდევნილი პროკურორი, – მე როდის გეუბნებოდი, ესენი სანდონი არ არიან, თამაშობენ-მეთქი, შალვას პირშიც ხომ ვუთხარი, თავის ოფისში. არადა, რუსთავში რა ხალხმრავალი ორგანიზაცია ჰქონდა.

– ისე ირინა სარიშვილს ეგეთი სიმართლე სხვა არ დასცდენია, – შალვასთანა ოპოზიციას ნებისმიერი ხელისუფლება ინატრებსო, ეგენიც ხომ მიშასავით დააპროწიალებენ ტრიბუნას, ქვეყნის უბედურებაზე გულნატკენის როჟას მოირგებენ და... – მოულოდნელად კამათში ერთვება თავის მესხური წარმომავლობით მოამაყე ამჯერად ქართლელი და უფრო რუსთაველი შალვა შემაზაშვილი.

– ერთი მაცოდინა, დღეს რომელი ოპოზიციის ლიდერია სანდო, – კახური გულმოდგინებით შეუკურთხებს ყველას ჩვენი ფალავანი, – მე ნონა გაფრინდაშვილის და ნინოსი მჯერა, თორემ სხვებთან არ წამოვიდოდი, ან ეგ სამკაციანი პარტიები რისი მაქნისია...

– რატომ, ფორუმელები ხომ გულმართალი ხალხია! იმათზე ვერ იტყვი აუგს, ეგაა, სხვებმა გაუტეხეს სახელი ოპოზიციას, აი პადოშებმა, თარგამაძეებმა... ამით ნაცები სარგებლობენ...

ჰოდა, ისე აღმოვჩნდით რუსთაველზე, პარლამენტის წინ, რომ პოლემიკის შეწყვეტა ნაუცბადევად მოგვიხდა და, როგორც დელეგატებმა, სარეგისტრაციო მაგიდებს მივაშურეთ, მაგრამ...

პირველი საათი სრულდებოდა. ტრიბუნებს ახლა აწყობდნენ, ჩვენი გაბრაზებული მურმან ახალაია, რომლის მძიმე წონას მუხლები ვერ უძლებს, სარეგისტრაციო მაგიდას მიუჯდა და ახლა ამ ჭაღაროსანს ეკითხებოდა, რეგისტრაციას როდის დაიწყებთო.

– აი ეგ არ მომწონს, გვითხრეს პირველ საათზე დაიწყებაო, – რაჭველი კაცი რომ გაბრაზდება. არადა, ზურაბ გიორგაშვილი წესრიგის კაცია, პირდაპირიც. ხალხის მოტყუება არ მოეწონა, თუმცა, რუსთავიდან ჩასულებს რომ გვეგონა, იქაურობა თბილისელებით გადაჭედილი და გრძელ რიგში დგომა მოგვიხდებოდა, ფუჭი გამოდგა.

### მოისმინეს, დაადგინეს...

**დიახ, საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო სახალხო კრებამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და სრულიად დამსახურებული, იურიდიულად მისხალ-მისხალ აწონილ-გაზომილი განაჩენი გამოუტანა ქვეყნის ვერაგზე ვერაგ მტერ ნაციონალურ ხელისუფლებას.**

ვისაც კომუნისტების იმჟამინდელი კრებები ახსოვს, პარტიული აქტივის, პლენუმის, კონფერენციის მუშაობაში მიუღია მონაწილეობა, იმან კარგად უწყის, თუ რამდენად დიდი სახელმწიფო მექანიზმი იყო ამ საქმეში ჩადებული, მით უმეტეს დღეს, როდესაც ლამის ყოველი ხის ტოტს ვანოს მეყურადეთა მოსასმენი აპარატი ასხია, დაწესებულებზე, თვით მერიების თანამშრომელთა კაბინეტებზე, ბუღალტრების ოთახებზე არას ვამბობ, რაოდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო, ეს გაუბედურებული, გატანჯული და დაბეჩავებული ხალხი დარაზმო.

ყოჩაღ ნონა, მარტო ჭადრაკის კი არა, სრულიად საქართველოს დედოფალო, კიდევ კარგი, რომ ასეულ ათასებს შენდამი დიდი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა შემოგვრჩა. ქედს ვიხრით შენს წინაშე და დიდად გვეიმედები, დიდო ქალბატონო. ჩვენს ერს, საამაყოდ, სხვა რომ არა, შენ გვყავხარ.

ხალხმა ნინო ბურჯანაძეს ყველა შეცოდება რომ მიუტევა, ეს ამჯერად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რამაც ბოლმით აავსო ნაციონალები და ზოგ-ზოგი ოპოზიციის ბელადი, ამიტომაც წამოვიდა ლანძღვა-შეურაცხყოფის ნიაღვარი სახალხო კრების მიმართ.

ფორუმელებმა ერთხელ კიდევ თქვეს თავიანთი ვაჟკაცური სიტყვა, ისინი იმ დაწყევლილი ვარდების მოედნიდან ჭექა-ქუხილით დაიძრნენ, ნიაღვარივით მოედვნენ რუსთაველს და კრებასაც თავიანთი ომახი შემატეს. ვინც საქართველოს ეროვნული გმირის, ლეგენდარული ქიული შარტავას მართლაც ღირსეული შვილის კახასი, ჩვენი გუბაზ სანიკიძისა და მათ თანამებრძოლთა ქილიკით ენას ისველებს, ისინი ამ ხელისუფლების ნასუფრალზე არიან გაზრდილი და მათზე საუბარი არც ღირს.

და დიდება ქართველ ერს, იმ ადამიანებს, რომლებიც იმ დღეს, მეორე დღესაც იქ მივიდნენ, არ შეუშინდნენ ჯოჯოხეთის მანქანას, მეტიც, აშკარა, შეუპოვარი ბრძოლისკენ მიიწევდნენ.

ისიც უნდა ვთქვა, კრებას მართლაც პროფესიონალურად უძღვებოდა ჩვენი სათაყვანო მსახიობი, რეჟისორი, დიდი თეატრალი გოგი ქავთარაძე (რა ქნას, პურის ცხობას მეპურეს, ყანას – მეთოხურს, საქმეს მუშაკს არ ანებებს ეს ხელისუფლება და!ძ.

**აი კრების შემდეგ რაც მოხდა, და რამაც საქილიკოდ განაწყო მრავალი არაკეთილმოსურნე, ეგ სხვა საქმეა. ალბათ ბევრად მეტი, ვინემ გვეჩვენება. ადამიანი ვერ ურიგდება იმ უსამართლობას, რაც დღეს ქვეყანაშია. თუმცა კვლავაც დღესასწაულობენ, გამარჯვებული მტარვალნი, მაგრამ...**

**ახლა საქმე, როგორც იოსებ სტალინს უყვარდა ხოლმე თქმა, ხალხიც საქმეს ელოდება.**

**ეს საქმე კი ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ, ვისაც საქართველოს, ერის, ჩვენი შვილების ბედნიერი მომავალი გვინდა.**

გივი ჯახუა

◎ ერისა და ბერის საყურადღებოდ!



# ხალხის მოთხოვნა

**ვიცით, თუ რა არის ეროვნული ცოცხალი საგანძური, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელია პლანეტარული ცოცხალი საგანძური.**

**დიდი ვახტანგ ჭაბუკიანი არა მარტო ქართული ცოცხალი განძია, არამედ წარმოადგენს პლანეტარულ ცოცხალ განძს.**

**ეს ყველას ესმის და მთელი საქართველო მოითხოვს, რომ იუნესკოს მიერ აღიარებული 2010 წელი, როგორც ვახტანგ ჭაბუკიანის წელი ჩამთავრდეს:**

**1. 24 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიაში ჩატარებული გალა-კონცერტის ჩანაწერი გადაიცეს ტელევიზიის ეთერით;**

**2. ვახტანგ ჭაბუკიანის მოღვაწეობის ამსახველი კინო და ტელემასალები გაიგზავნოს MEZZO ფრანგულ არხზე;**

**3. დაწესდეს ვ. ჭაბუკიანის სახელობის მუდმივი საერთაშორისო საბალეტო კონკურსი;**

**4. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს დაერქვას ზ. ფალიაშვილისა და ვ. ჭაბუკიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი;**

**5. გაკეთდეს ვ. ჭაბუკიანის ჰოლოგრაფიული გამოსახულება მოძრაობაში.**

ელენე ახვლედიანის ოჯახი,
დოდო აბაშიძის ოჯახი,
ზაზა აბაშიძე – ტელეწამყვანი,
აკადემიკოს ლ. კალანდაძის ოჯახი,
ირინა კალანდაძე – ნოოსფეროს აკადემიის პრეზიდენტი,
გიორგი შავგულიძის ოჯახი,
ნუკრი შავგულიძე – მხატვარი, პროფესორი,
მარინა შაქარაშვილი – ექიმი, პროფესორი,
ნოდარ მამისაშვილი – კომპოზიტორი, აკადემიკოსი.

◎ იყიდება საქართველო!

# რეფორმებით გაბრუებული თუ „გაბურებული“ ქვეყანა

## „ჩვენი მომავალი თანამოქალაქეები“

**სამხრეთაფრიკელი თეთრკანიანი ფერმერების საქართველოში ჩამოყვანის თემას ტაბუ დაედო. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებს, თუმცა სწორედ მინისტრი პაპუნა დავითაია იყო ბურების ჩვენს ქვეყანაში ჩამოყვანის ინიციატორი. ბურების 40 ათასი ოჯახის საქართველოში გადმოსახლება – ესეც მითი და არარეალურია, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, ამბობს დიასპორის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი შორენა კირვალიძე.**

აი, ამასაც სახელმწიფო ჰქვია?! საიდან, ვის გაახსენდა ჰოლანდიელი სამხრეთაფრიკელი მიწათმოქმედები საქართველოში, ძნელი მისახვედრი არაა, რადგან ამ საქმის ერთ-ერთ ლობისტად სწორედ ჩვენი პირველი ლედი გვევლინება. კი, ბატონო, ყველაფერი შესაძლებელია. საქართველო ტრადიციისამებრ სტუმართმოყვარე ქვეყანაა, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა დაეკითხოს ხელისუფლება, როცა ამხელა ინიციატივას იღებს საკუთარ თავზე. როგორ შეიძლება ასეთი თემების გასაიდუმლოება, მით უმეტეს, ამ საქმის მოთავეებმა დუმილი გადაწყვიტეს იმ მოტივით, რომ გარკვეული არაფერია. მაგრამ თუკი გაირკვევა, რომ ბურები მართლაც მოადგნენ საქართველოს საზღვრებს და აქ აპირებენ ჩამოსახლებას? მერე როგორი კომენტარიც არ უნდა გაკეთდეს, გვიანი იქნება.



ინფორმაცია, რაც აქამდე ინტერნეტის საშუალებით ვრცელდებოდა, ასეთია: დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლება სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტორებს ეძებს, ხოლო აგვისტოში სამხრეთ აფრიკაში ფერმერთა გაერთიანების შეკრებაზე საგანგებო მემორანდუმით მივიდა. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი ოფიციალური წერილობითი დოკუმენტი, რომელიც 18 აგვისტოს ქალაქ პრეტორიაში გაფორმდა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ აგრარულ კავშირსა და საქართველოს შორის. ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ ინფორმაცია ასევე გასაიდუმლოებულია.

სამხრეთ აფრიკის ეროვნული აგრარული კავშირი ჯერ კიდევ 1897 წელს შეიქმნა თეთრკანიანი ფერმერების უფლებების დაცვის მიზნით. ბურები – თეთრკანიანი ფერმერები სამხრეთ აფრიკაში მე-17-18 საუკუნეებში გადასახლებული ჰოლანდიელი გლეხების შთამომავლები არიან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობა ძალიან განვითარებულია და ეს ბური ფერმერების დამსახურებაა. ამ ქვეყნებში განვითარებულია როგორც მეცხოველეობა, ისე მიწათმოქმედება. მარცვლეული კულტურიდან ძირითადად მოჰყავთ ყვითელი სიმინდი და ხორბალი. წარმატებები აქვთ ღვინის ბაზარზეც.

მაგრამ 1994 წლიდან (მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი გაუქმდაძ აფრიკელებმა 3 ათასი თეთრკანიანი ფერმერი მოკლეს. ამჟამადაც ძალიან ავიწროებენ თეთრკანიანებს, მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა. ამას ისიც დაერთო, რომ სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო პოლიტიკის თანახმად, თეთრკანიან ფერმერებს საკუთრებაში არსებული მიწების 30 პროცენტი ჩამოერთვა. მიწის რეფორმების გამო ბევრმა ფერმერმა საკუთარი მეურნეობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ უკვე გაიტანა.

იხ. 6 გვ.

თვალსაზრისი

# საქართველოს არავინ ეკითხება, ვინ იქნება ამ ქვეყანაში მმართველი ძალა და როგორ განვითარდება მოვლენები



***მიმდინარე კვირას თბილისში ჩატარებულმა წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ ქართული პოლიტიკური პროცესის ერთფეროვნება აშკარად გამოაცოცხლა. ხელისუფლებამ კრება უმნიშვნელო თავყრილობად გამოაცხადა, ოპოზიციის ნაწილმა კი – ხალხის გაბითურების მორიგ მცდელობად. განსხვავებულია შეფასებები ექსპერტულ წრეებშიც. „მედიანიუსი“ წარმომადგენლობითი სახალხო კრების მნიშვნელობისა და მისი შედეგების შესახებ პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძეს ესაუბრა.***

**– ბატონო ვაჟა, პოლიტიკურ წრეებში არ წყდება მსჯელობა წარმომადგენლობითი სახალხო კრების ირგვლივ. კრებაზე მისული საზოგადოების ნაწილმა კრების ორგანიზატორების მიმართ აშკარა პროტესტი გამოთქვა. მათ სურდათ უფრო მეტი რადიკალიზაცია. კრების უმოქმედობაზე შეფასებები ოპოზიციური პარტიის ლიდერებმაც გააკეთეს. განიცადა თუ არა რეალურად კრებამ ფიასკო?**

– არა, არ განუცდია. კრების საინიციატივო ჯგუფს არ ჰქონია დასახული უფრო მეტი და მასშტაბური მიზნები. 100 ათასი კაციც რომ მოსულიყო მთავრობის სახლთან, შედეგი იგივე იქნებოდა.

**– მაშინ რა მიზნებს ისახავდა სახალხო კრების ორგანიზატორთა ნაწილის განცხადებები, რომ სამოქმედო გეგმას განსაზღვრავდა მოსული ხალხის რაოდენობა? ეს ხალხის მოსაზიდად იყო ნათქვამი თუ პოლიტიკოსები გულწრფელები არ იყვნენ?**

– მე, რა თქმა უნდა, თქვენი მისამართით არ ვამბობ, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებს მეტი სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. სახალხო კრების ინიციატორების წინააღმდეგ მუშაობდა რამდენიმე უზარმაზარი ძალა – სახელმწიფო მანქანა, სპეცსამსახურები, მთავრობის კონტროლქვეშ მყოფი ყველა ნაციონალური ტელევიზია, ხელისუფლების მარიონეტული და სატელიტი პარტიები, მოსყიდული ოპოზიციური ჯგუფები და, უბრალოდ, გულუბრყვილო პოლიტიკოსები, რომლებიც ვერც დემოკრატიულ არჩევნებში და ვერც ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ვერასდროს მიზანს ვერ აღწევენ – არიან, როგორც ჯონჯოლი სუფრაზე. მთლიანობაში ეს ყველა ძალა დაუპირისპირდა ინტელექტუალთა ჯგუფს, ნონა გაფრინდაშვილის გარშემო რომ შეიკრიბა. რა თქმა უნდა, ამ ჯგუფს უკან იდგა და დგას ნინო ბურჯანაძე, რომლის მხარდამჭერთა რიცხვს მე არ ვეკუთვნი, მაგრამ ამ შემთხვევაში, უნდა ვიყო ობიექტური და შევნიშნო, რომ მან თავზე მიიღო ყველა ზემოაღნიშნული ძალისგან დარტყმა და არ გატყდა. კრება შედგა, რაც ზემოაღნიშნული ძალებისთვის სერიოზული მარცხია.

**– იმავე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში მკვდარი პოლიტიკური პროცესი გაცოცხლდა და ეს სახალხო კრების პირველი დიდი მიღწევაა. 2009 წლის აპრილ-ივნისის შემდეგ 20 ათასი კაცი საქართველოში არ შეკრებილა. რამდენად ზუსტია მისი ეს შეფასება?**

– ვერ დაგეთანხმები ნინო ბურჯანაძეს. პოლიტიკური პროცესი საქართველოში მკვდარია 1992 წლის დეკემბრიდან, როცა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დიალოგის წარმოება ოპოზიციასთან, მოხდა განხეთქილებაც მაშინდელი მმართველი „მრგვალი მაგიდის“ შიგნით, რუსულმა სპეცსამსახურებმაც გვარიანად იმუშავეს, ჯორჯ ბუშ-უფროსმაც „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“ – ვერდიქტი გამოუტანა საქართველოს ხელისუფლებას და მოხდა გადატრიალება. ეს გადატრიალება, როგორც მაშინდელი ხელისუფლების უუნარობის, ისე ოპოზიციის უნიათობისა და არაშორსმჭვრეტელობის და ქართული ინტელექტუალური თუ პოლიტიკური ელიტის უკიდურესი ქმედუუნარობის შედეგი იყო. დაისაჯა ხალხი, დემოკრატიისა და პოლიტიკური პროცესების წარმართველი და სუბიექტი, ხალხი გააგდეს პოლიტიკიდან და პოლიტიკური პროცესი საქართველოში 20 წლით მოკვდა. მკვდარია დღემდე. ამიტომ, ქალბატონ ბურჯანაძის ლოკალურ თემებთან დაკავშირებული დასკვნები გადაჭარბებული მგონია. მე სხვა რამ მახარებს და სხვა რამეს მივესალმები: ხალხი ცდილობს დაბრუნდეს პოლიტიკაში, რაც უეჭველად გამოიწვევს პოლიტიკური პროცესის რეანიმირებას და ყველაფერი დალაგდება.

**– რამდენად ხელსაყრელია ხელისუფლებისთვის წარმომადგენლობითი სახალხო კრების შედეგები – იქ მისული ადამიანების ერთი ნაწილის უკმაყოფილება?**

– რაც შეეხება უკმაყოფილებას, შიმშილის ზღვარზე მყოფი ადამიანების მდგომარეობა გასაგებია და თანაგრძნობას იმსახურებს, პროვოკატორების შეძახილები არ შეიძლება ვინმეს აქტივში ჩაითვალოს, ხოლო კრების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების ქირქილი საერთოდ არ მიმაჩნია ყურადღებამისაქცევად. ზოგს მიღებული აქვს სიკეთე ხელისუფლებისგან, ზოგიც ახლა ცდილობს, დაიმსახუროს.

ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველისთვის, მთავარია, ვინ ლაპარაკობს ხალხის სახელით, ვის რა მხარდაჭერა აქვს ხალხის. აქ მე ვერც „აი-რა-ის“ ვენდობი და ვერც „ენ-დი-აის,“ მით უფრო, როცა ვიცი, რომ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას აქ, ადგილზე, ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული „კავკასიის რესურს-ცენტრი,“ „ეი-სი-თი,“ „აი-პი-ემი“ ახორციელებენ, ხოლო თუ სანდო, ქართული ჯგუფების კვლევებს ჩავხედავთ, მაგალითად, „აი-პი-ელის,“ დავინახავთ, რომ ალასანიას, „ჩვენი საქართველო – თავისუფალ დემოკრატებს“ ელექტორატის 3.5 პროცენტი უჭერს მხარს, „დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ 4.5 პროცენტი, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ 5.7 პროცენტი, ლეიბორისტულ პარტიას 9 პროცენტი, „ეროვნულ ფორუმს“ 11.5 პროცენტი. ირაკლი ალასანიას რეიტინგი თბილისში 7.2 პროცენტია, ნინო ბურჯანაძის 4.3 პროცენტი, გიორგი თარგამაძის 5.8 პროცენტი, გუბაზ სანიკიძის 7.3 პროცენტი, მიხეილ სააკაშვილის 9.8 პროცენტი. მათაც და დანარჩენებმა საერთოდ უნდა შეარბილონ კატეგორიული ტონი ხალხის სახელით განცხადებების კეთებისას, განსაკუთრებით მათ, ვისი რეიტინგიც 2 პროცენტს არ აღემატება. მათ შორის ირაკლი ოქრუაშვილმაც, რომლის რეიტინგიც 1.1 პროცენტია.

ყველამ კი გაითვალისწინოს, რომ რესპონდენტებისათვის დასმულ კითხვას – რომელ პოლიტიკოსს ენდობით – ყველაზე მეტი 25.4 პროცენტი პასუხობს – არც ერთს! აი, ამ ფაქტორებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სახალხო კრების შედეგები არახელსაყრელია და ჭკუის სასწავლებელი როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის, ხოლო ხალხისთვის, როგორც უკმაყოფილოებისთვის, ისე ამ კრების შედეგებით კმაყოფილთათვის, კრების მოწვევის ფაქტი, როგორც ხალხის პოლიტიკაში დაბრუნების ნიშანი, ჩემი აზრით, მისაღები და მისასალმებელი უნდა იყოს.

**– „ქართულმა პარტიამ“ განაცხადა, რომ უახლოეს სამ თვეში მზად იქნება ხელისუფლების დემონტაჟის რეალური პროცესის დასაწყებად, ოპოზიციის ნაწილი კი კვლავ საარჩევნო გარემოს შეცვლაზე მსჯელობს. მთელ ამ პროცესს, ხელისუფლება დუმილით ხვდება. პირიქით, მიხეილ სააკაშვილი ხვდება აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამასა და სიტყვით გამოდის ევროკავშირში. თქვენთვის რას ნიშნავს თითოეული ეს მოვლენა და მისი პერსპექტივები?**

– შეკითხვა ზუსტია, კარგი, მაგრამ რთული. ის კალეიდოსკოპი, რომელიც მოიცავით, ღრმა ანალიზს მოითხოვს, სიღრმისეული წიაღსვლებით, მაგრამ, მოდით, ნუ გაგიკვირდებათ, ნურც თქვენ და ნურც მკითხველს, თუ ვიტყვი, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტზე მნიშვნელოვანი საქართველოსთვის ის იქნება, თუ როგორ დამთავრდება „ვიკი-ლიკის“ სკანდალთან დაკავშირებული პერიპეტიები. დღე-დღეზე მსოფლიო ელის ახალი, 2.8 მილიონი საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომლითაც ადამიანების ჯგუფი აცხადებს, რომ მსოფლიოს უახლესი ისტორია ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, სხვაგვარად დაიწერება.

საქმე ეხება არა მარტო ერაყის და ავღანეთის ომების პერიპეტიებს, არამედ რუსეთისა და ჩინეთის საიდუმლო გარიგებებსაც მსოფლიო პროცესებთან მიმართებაში. მიმიხვდით ალბათ, რაზე მივანიშნებ.

ის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში, დღემდე დამოკიდებულია ხან ბუში-რაისი-პუტინი-ლავროვის სიამტკბილობაზე და პრეზიდენტ სააკაშვილის იმპროვიზაციებზე, ხან კიდევ ობამა-მედვედევ-პუტინისა და სარკოზის კულუარულ ჩურჩულებზე. სენატის ამარა დარჩენილმა ობამამ, შესაძლოა შეარბილოს მაკკეინ-ლუგარის და სხვათა დაუოკებელი აღშფოთება ახალი კავკასიური პასეანსის გამო და რამდენჯერმე გამოიყენოს სიტყვა – „ოკუპაცია“ საქართველოსთან მიმართებაში, ისევე, როგორც ზოგიერთმა ევროლიდერმა, თუმცა მათ მინდა ვკითხო, თქვე ოჯახაშენებულებო, თუ ოკუპაციას ხედავთ, დეოკუპაციისკენ რუსეთს რატომ არ მოუწოდებთ?!

ეს ყველაფერი იმიტომ მოვიტანე, რომ არავინ ეკითხება საქართველოს, ვინ იქნება ამ ქვეყანაში მმართველი ძალა და როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ არის ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე. ასეთი ვითარება კი სტაბილურობის საფუძველი შეიძლება იყოს რომელიმე შორიახლო სახანოში, საემიროში, საფაშოში ან სასულთნოში, მაგრამ არამც და არამც საქართველოში. სახალხო კრება ამ კატასტროფული ნონსესისგან გათავისუფლების პირველი გაუბედავი, ნაკლებად ეფექტური, მაგრამ მაინც რეალური ნაბიჯი იყო.




პოზიცია

# სააკაშვილთან 80-90-იანი წლების მიჯნის მეთოდებით ბრძოლა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია

(მეორე გვერდიდან)

მეორე მხრივ, ძნელია, ამგვარი პერმანენტული რევოლუციებისა თუ გადატრიალებების მცდელობების ფონზე დასავლეთმა სერიოზულ პარტნიორად განგვიხილოს.

საქმე, ვფიქრობ, სხვა რამეა. ჩვენ ვერ შევქმენით კონსერვატიზმის თანამედროვე კონცეფცია, ანუ კონცეფცია იმისა, თუ თანამედროვე ვითარებებში როგორ უნდა გადარჩეს ჩვენი კულტურა თვითიზოლაციის გარეშე. რუსული მოტივის რეანიმაცია ჩვენს იდეოლოგიურ სივრცეში 2003 წლის შემდეგ აგრესიული ლიბერალიზმის მოძალებასთან არის დაკავშირებული. მის გაწონასწორებას დღეს ჩვენ კონსერვატიზმის ეროვნული მოძრაობის დროინდელი ფორმებით ვცდილობთ. ამას ემატება ისიც, რომ ბევრისთვის რუსეთი დღეს ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებასთან ასოცირებს და ასე მივიღეთ ქართული ნაციონალიზმისა და რუსოფილური განწყობილებების უცნაური ნაზავი, 80-იანი წლების ბოლოს კომმარადაც რომ არავის დაგვესიზმრებოდა. არადა, თითქოს ცხადია, რომ კონსერვატიზმი, რომელსაც რუსეთი გვთავაზობს, სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი სულიერების ზერელე ოპერატიული კონცეფცია, თუ არა მთელი ჩვენი კულტურის ქცევა მკვდარ სამუზეუმო ექსპონატად და უხერხულიც არის, იგი საკუთარ თავს რეალურ პოლიტიკურ პროექტად შევთავაზოთ.

დასავლელი იდეოლოგებისგან განსხვავებით, რომლებიც აგრესიულად ცდილობენ ლიბერალიზმის გავრცელებას მთელს მსოფლიოში და ჩვენშიც, რუსი იდეოლოგები, ერთი შეხედვით, ჩვენი ტრადიციული ღირებულებების მნიშვნელობაზე აკეთებენ აქცენტს, მაგრამ დიდი დაფიქრება არ არის საჭირო იმის აღმოსაჩენად, რომ მათ ჩვენ მხოლოდ ერთგვარ იოლად სამართავ სამუზეუმო ექსპონატებად ვჭირდებით, მხოლოდ ეთნოგრაფიულ წარმოდგენათა ერთგვარ პერსონაჟებად და ცხადია, ესეც კვდომაა, ოღონდ ისეთი, თავი ცოცხალი რომ გგონია.

თუ შევძლებთ და დღევანდელ ზერელე ნაციონალიზმს თანამედროვე სამყაროში ჩვენი სულიერების განვითარებისა და დამკვიდრების სერიოზული კონცეფციით ჩავანაცვლებთ, სააკაშვილის ეპოქაც ლოგიკურად დასრულდება და რუსეთიც ველარ ითამაშებს ჩვენს ეროვნულ გრძნობებზე. რაც მთავარია, ლიბერალიზმს გამოუჩნდება სერიოზული საპირწონე, რაც, დამეთანხმებით, თანამედროვე სამყაროში ნორმალური სახელმწიფოებრივი განვითარების აუცილებელი პირობაა. ასეთ შემთხვევაში ბრძოლა აზრიანიც იქნება, შედეგის მომტანიც და ცივილიზებული სამყაროსთვის გასაგებიც.

**– მიმდინარე კვირაში „ქართული პარტიის“ დამფუძნებელი ყრილობაც ჩატარდა და სახალხო კრებაც. თქვენი აზრით, ამ მოვლენების შემდეგ როგორ განვითარდება პროცესები, ერთი მხრივ, რადიკალურ ოპოზიციაში და მეორე მხრივ, ოპოზიცია-ხელისუფლების ურთიერთობებში, რომლებმაც ცოტა ხნის წინ საარჩევნო კანონისა და საარჩევნო გარემოს შეცვლაზე კონსულტაციები დაიწყეს?**

– „ქართულ პარტიასთან“ დაკავშირებით მიჭირს ლაპარაკი, მისი თავმჯდომარე გახდა ადამიანი, ვისაც მე პატივს ვცემ და ვფიქრობ, რომ მან სერიოზული შეცდომა დაუშვა. როგორ პოლიტიკურ წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს, ეს შეცდომა შეცდომად დარჩება.

რაც შეეხება იმ პარტიებს, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნავენ: პოლიტიკა მრავალფუნქციური რამ არის და არც მხოლოდ კაბინეტებში თამაშდება, არც მხოლოდ მედიაში და არც მხოლოდ მიტინგებზე. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი ძალზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ, ოღონდ ჰერმეტულად ჩაკეტილ კაბინეტურ გარემოში და რიგით მოქალაქეებთან ურთიერთობა მთლიანად რადიკალებს გადააბარეს.

ყველაზე ნათლად ალბათ ახლა ჩანს, როგორი დარტყმა იყო ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის „ალიანსის“ დაშლა. იმის ნაცვლად, რომ სხვა, თუნდაც მხოლოდ კულტურულად და ფსიქოლოგიურად მსგავსი პოლიტიკური ძალები მიეზიდა, იგი დაიშალა. უფლება რომ მქონდეს, მოვთხოვდი მის ყოფილ სუბიექტებს, აღედგინათ „ალიანსი“, პიროვნული დაპირისპირებები და ამბიციები დაეძლიათ. „ალიანსის“ დაშლა უკვე ირაკლი ალასანიას შეცდომაა, რომელიც კიდევ კარგა ხანს გაჰყვება მის პოლიტიკურ პორტრეტს. ვფიქრობ, მან რაღაც მომენტში გადაჭარბებით შეაფასა თავისი პოლიტიკური წონა. და მაინც, მიუხედავად მომხდარისა, „ალიანსის“ აღდგენა ალბათ ჯერ კიდევ შეიძლება.

**კობა ბენდელიანი.**

**„ინტერპრესნიუსი“**

რუსი კოლეგის თვალით

# ჟურნალისტი ვარ და არა პოლიტიკოსი

***მას შემდეგ, რაც ცნობილი რუსი ტელეჟურნალისტი ლეონიდ პარფიონოვი ვლად ლისტიევის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა და დაჯილდოების ცერემონიალზე ხელისუფლებისა და ტელეარხების საქმიანობის შესახებ უმწვავესად კრიტიკული და სენსაციური შეფასებები გააკეთა, მასთან ინტერვიუ ჩვენ ჟურნალისტურ გამართლებად ჩავთვალეთ. ლეონიდ პარფიონოვს სასტუმრო „ამბასადორში“შევხვდით.***

***გვინდოდა, მასთან გვესაუბრა არა მარტო თბილისში სტუმრობის მიზეზებზე, არამედ ლისტიევის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე მის მიერ წარმოთქმულ კრიტიკულ სიტყვაზე, რუსეთში არსებულ ვითარებაზე და იმაზე, სავარაუდოდ, როგორ უპასუხებს კრემლი პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას, მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, მაგრამ რამდენიმე კითხვის შემდეგ პარფიონოვმა მითხრა — კოლეგავ, მე მხოლოდ ჟურნალისტი ვარ...***



**— ლეონიდ, ლისტიევის პრემიის მიღებიდან მესამე დღეს თბილისში თქვენი ჩამოსვლა მოულოდნელი იყო. არ დაგიმალავთ, ვიფიქრე, შესაძლოა, გახმაურებული კრიტიკული გამოსვლის შემდეგ თბილისში თავშესაფრის მისაღებად ჩამოხვედით. როცა გავიგე, გადაღებები გქონდათ, მივხდი, რომ ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით პრობლემები არა გაქვთ. ამჯერად თქვენი თბილისში ჩამოსვლის მიზეზი და მიზანი რაში მდგომარეობს?**

— ვიღებ ფილმს მიხეილ გორბაჩოვზე „Он пришел, дать вам волю“. მომავალ წელს მას 80 წელი უსრულდება. ფილმის პრემიერა გორბაჩოვის დაბადების დღეს, მომავალი წლის 2 მარტს გაიმართება. ფილმი საათნახევრიანი იქნება. თბილისში შევარდნაძის ჩასაწერად ჩამოვედი. სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე გორბაჩოვის გარდაქმნის პოლიტიკაში საკვანძო ფიგურა იყო. ფილმის გმირთაგან ზოგი უკვე ჩავწერე, ზოგს უახლოეს მომავალში ჩავწერ. გორბაჩოვზე ფილმში 80-იანი წლების მეორე ნახევრისა და და 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულ მოვლენებზე თავის მოსაზრებებს გამოთქვამენ პოლონეთის მაშინდელი ლიდერი იარუზელსკი, გერმანიის კანცლერი გენშერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი, გორბაჩოვის თანაშემწე ჩერნიაევი. სამწუხაროა, რომ იმ პერიოდის საკვანძო ფიგურათაგან ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგალითად, იაკოვლევი, რომელიც შევარდნაძესთან ერთად გორბაჩოვის რეფორმატორთა გუნდის სამეულში შედიოდა. სხვათა შორის, ფილმის სახელწოდებას სტეპან რაზინს დავესესხეთ, რომელმაც თავის დროზე თქვა — я пришел, дать вам волю.

ამ ფილმზე მუშაობისას ჩემთვის ძალიან საინტერესოა პერესტროიკის პოლიტიკის ავტორთა შინაგანი განცდები. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებსაც საბჭოთა კარიერა კი ჰქონდათ, მაგრამ რადიკალური გარდაქმნების აუცილებლობა დაინახეს და შეეცადნენ, არ ჩამორჩენოდნენ დროს. მერწმუნეთ, მართლაც ძალიან საინტერესოა უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებისას მათი არა მარტო განცდები, - გარკვეული დაბნეულობის მიუხედავად, ცვლილებებისათვის მზადყოფნა. ეს პერესტროიკის ყველა აქტიურ არქიტექტორს ეხება. და რა თქმა უნდა, უპირველესად გორბაჩოვს, რომელმაც პრაქტიკულად მწვანე შუქი მისცა იმ პროცესების განვითარებას, რომლის შესახებაც ყველამ კარგად ვიცით.

**— გორბაჩოვის რაზინთან შედარება უდავოდ საინტერესო ისტორიული პარალელია.. ლისტიევის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალზე თქვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვას რუსეთში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა... მაინც რა იყო ეს — პროტესტი, მოწოდება, მანიფესტი თუ უბრალოდ სამოქალაქო პოზიცია?**

— ინტერვიუს დაწყებამდე გითხარით, რომ დაჯილდოების ცერემონიალზე ჩემს მიერ ნათქვამ სიტყვაზე კომენტარს არ გავაკეთებდი. ცერემონიალზე ჩემს მოკლე გამოსვლაში მე ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა.

**— წინა ჩამოსვლისას საუბარში მითხარით, რომ პუტინის ინიციატივით მასთან ხანმოკლე შეხვედრა და საუბრის საშუალება გქონდათ. თქვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ თქვენთან შეხვედრა და ჟურნალისტიკის სფეროში არსებული პრობლემების განხილვა პრეზიდენტმა მედვედევმა ანდა პრემიერ-მინისტრმა პუტინმა მოისურვონ?**

— პუტინთან რამდენჯერმე მქონდა ვახშამზე შეხვედრისა და პრობლემებზე საუბრის საშუალება, მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. არც კი ვიცი, რა გითხრათ. ეს მათ უნდა ჰკითხოთ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, როცა ცერემონიალზე ჩემს აზრს გამოვთქვამდი, აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლებოდა მედვედევს ან პუტინს გასჩენოდა ჩემთან შეხვედრის სურვილი.

**— ლეონიდ, გასაგებია, რომ პოლიტიკურ თემებზე საუბარი არ გსურთ, მაგრამ ჩემი ბრალი ნამდვილად არ რის, რომ მოსკოვში თქვენს მიერ პრაქტიკულად პოლიტიკური და შოკისმომგვრელი განცხადების შემდეგ პოლიტიკურ პროცესებზე თქვენი აზრის გამოთქმას გთხოვთ..**

**თქვენთან შეხვედრამდე ინტერნეტში წავიკითხე სათათბიროს დეპუტატ გუდკოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ თუ ხელისუფლებამ რეფორმების ზემოდან გატარება არ დაიწყო, რუსეთში ცვლილებები ქვემოდან დაიწყება და ყველაფერს რუსული ბუნტი წალეკავს ... მართლა ასეთი ვითარებაა დღევანდელ რუსეთში?**

— არ ვიცი, ხომ გითხარით პოლიტიკოსი არა ვარ და ჩემი კონკრეტული საქმით ვარ დაკავებული. წარმოდგენა არა მაქვს, რუსეთში ცვლილებების განხორციელება ზემოდან დაიწყება თუ ქვემოდან. ეს ჩემს ცხოვრებას არ ეხება. მე ჟურნალისტური ხელობა მაქვს ათვისებული და პოლიტიკოსი არ გახლავართ.

**— პირდაპირ გეტყვით, რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე ახალ ამბებს თვალს შეშფოთებული ვადევნებთ...**

— მერედა, რატომ ადევნებთ თვალს...

**— იძულებული ვართ, — მოგეხსენებათ, „მართმადიდებლური რუსული ტანკი“ თბილისიდან სულ რაღაც 40 კილომეტრში დგას...**

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან კრემლს თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის დაწყებისაკენ მოუწოდა და თავის მხრივ მან ამისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა. როგორც იტყვიან, ახლა ბურთი რუსეთის მოედანზეა. თქვენი აზრით, გამოეხმაურება თუ არა კრემლი სააკაშვილის ინიციატივას და თუ კი, როგორ და როდის?**

— ვერ გეტყვით, რა რეაქცია ექნება ინიციატივაზე ოფიციალურ მოსკოვს. მეჩვენება, რომ სააკაშვილის პოლიტიკა აშკარად არათანმიმდევრულია. თუ მას რუსეთისადმი ისეთი სურვილები ჰქონდა, რომელთა შესახებ ევროპარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, მაშინ გაუგებარია, აქამდე მთელ რიგ საკითხებში რატომ ჰქონდა მას მკაცრი და შეურიგებელი პოზიცია.

საქმე კიდევ იმაშიცაა, რომ თქმით ყველაფრის თქმა შეიძლება. ნიშნავს კი სააკაშვილის მიერ ნათქვამი, საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილებას? პირადად მე ასეთი რამ ძნელად წარმომიდგენია. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ კრემლი სააკაშვილისადმი დამოკიდებულებას შეიცვლის.

**კობა ბენდელიანი.**

„ინტერპრესნიუსი“

---

სიზმარი

## სოფელ ერედვის ეკლესია მომლოცველებს ელოდება...

**შემოდგომის სუსხიანი დღე, 23 ნოემბერი თენდება... სოფელი ერედვი, ტრადიციისამებრ, დილიდან დღესასწაულის შესახვედრად ემზადება, განსაკუთრებით კი ის ოჯახები, ვისაც სახლში გიორგი ჰყავთ...** ყველა ერთად ამზადებს საკურთხს სალოცავში წასაღებად, დედამ ხაჭაპურების დაცხობაც მოამთავრა. საკურთხი დიდ კალათებში მოათავსა, ასე წასაღებად ადვილიაო. აი თბილისიდან და გორიდან სტუმრების ბოლო ნაკადიც გვესტუმრა, და პურ-მარილით დატვირთულები ყველა ერთად უბნის თავისკენ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გზას გავუყევით. ტაძარი X საუკუნით თარიღდება, დიდი გალავანი აქვს შემოვლებული (გალავანი იმდენად დიდია, რომ გადმოცემის თანახმად, ერედვის მოსახლეობა მტრის შემოსევებისგან თავის დასაცავად გალავნის შიგნით იკეტებოდაძ.

ეკლესიის ეზოში შესვლისთანავე სულიერი სიმშვიდე ეუფლება ადამიანს... ტაძარს სამჯერ გარს შემოვუარეთ (თან შესაწირიდან გამზადებული ცხვარი მოგვყავდაძ. სანთლების ასანთებად შიგნით შევედით. ასობით სანთელი ერთად გიზგიზებდა. ყველამ მოვილოცეთ, ახლა სუფრის გაშლას უნდა შევუდგეთ. მამაკაცებმა „შეთქმული“ ცხვრის დაკვლა, ქალებმა კი მდელოზე გაშლილ თეთრ ტილოზე ოჯახში დამზადებული კერძების ამოლაგება დაიწყეს.

თითქმის უკლებლივ შეიკრიბა სოფლის მოსახლეობა — ბორცვაძეები, ბაციკაშვილები, ცოტნიაშვილები, ტარიელაშვილები, ოზგებიშვილები და სხვები... ყველა გახარებულია, განსაკუთრებით კი ჩემი ძმა გიორგი, რომელიც წმინდა გიორგის წყალობითა და შეწევნით თვალსა და ხელს შუა გაიზარდა... ერთ საათში ყველაფერი მომზადდა, სტუმრებიც და მასპინძლებიც სუფრას შემოვუსხედით, ახლა ყველანი სუფრის უხუცესი წევრის სიტყვას ველოდებით, ყველა გაჩუმდა... რამდენიმე წუთის შემდეგ კი თამადა წამოდგა, ღმერთი ადიდა, სუფრის წევრები დალოცა და ჭიქის მიჭახუნებით გვერდით მჯდომს გადასცა სიტყვა... სავსე თასმა სუფრის ყველა წევრი მოიარა და ისევ პირველს დაუბრუნდა... ერთ სასმისს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მეოთხე... და მალე მეზობელი სუფრიდან უკვე სიმღერის ხმაც შემოისმა, ეს სოფელ ერედვის კულტურის სახლის ახალგაზრდა მომღერალთა გუნდია. სიმღერას ცეკვა მოჰყვა. ასე ბალახზე ლაღობდნენ ახალგაზრდებიცა და ხანში შესულებიც. მხიარულებამ მზის ჩასვლამდე გასტანა...

მალე ისევ ყველა თავის სუფრას დაუბრუნდა... ისევ თამადის სიტყვას ველოდებით. ეჩქარებათ ქალაქიდან მოსულ სტუმრებს, დიდი გზა აქვთ გასავლელი... თამადამ წამსვლელებს გზა დაულოცა და წმინდა გიორგს შესთხოვა მათი მფარველობა... ყველა წამოვიშალეთ, სტუმრები მანქანებამდე მივაცილეთ და დავემშვიდობეთ. მანქანები თვალს რომ მოეფარნენ, ისევ სუფრის მიმართულებით წავედით.

ერთი ნაბიჯიც და... ადგილიდან ვერ ვიძვრები, ფეხის გადადგმა მინდა და ვერ ვდგამ. მინდა დავუძახო ვინმეს და არ შემიძლია, ხმა არ ამომდის... ჩემმა წვალებამ რამდენიმე წუთს გასტანა და... უეცრად გამომეღვიძა, ბედნიერი, მაგრამ დაღლილი და იმედგაცრუებული ვიყავი. იმედგაცრუებული იმიტომ, რომ ის ლამაზი დღე, რომელიც სიზმარში ვნახე, ბოლო სამი წელია ოცნებად გვექცა მთელი ერედვის მოსახლეობას (და არა მხოლოდ მათძ... უკვე მესამე წელია ეკლესია ძველ მომლოცველებს ელოდება, მაგრამ დაუნდობელი მტრის გამოისობით, ქართველის ფეხი იქ უკვე სანატრელია...

**თინათინ ბორცვაძე**

---

წკეპლიკა

## განა რით, ძმანო – გამჭვირვალობით, ქამრის მოჭერით... მტაცებლობითა და ხვეჭით

**თქვენც შეამჩნევდით, ალბათ, ახალი იდეოლოგიური „ტექნოლოგიების“ სახით ხელისუფლებამ და ხელისუფლებმა გამჭვირვალობა და ქამრის მოჭერა რომ შემოგვიგდეს.**

კი ბატონო, გამჭვირვალობას რა სჯობს, მაგრამ მოდით, მარტო ხიდებსა და საპოლიციო შენობებს ნუ გავამჭვირვალებთ... სიტყვაზე, რამდენკაციანი (და ძალიანიძ ამალა იახლა ბატონმა საქართველოს პრეზიდენტმა თავისი ფრიად ტევადი (თუმცა გაუმჭვირვალიძ ლაინერით ლისაბონის სამიტზე და მერე სტრასბურგის სესიაზე? რაღაც ბევრი „ცნობადი“ და „უცნობადი“ (ჩემთვის, ყოველ შემთხვევაშიძ სახე გამოჩნდა იმ ტელერეპორტაჟებში, რომლებიც მიხეილ-ბატონის ტრიუმფულ (მაშინვე როგორც მონათლეს ჩვენმა მარჯვე მეხოტბეებმაძ გამოსვლებს მიეძღვნა იმავე ლისაბონსა და სტრასბურგში.

ებებ ბატონი უმაღლესი პირის ყოველი საზღვარგარეთული ვოიაჟის (არცთუ მცირერიცხოვანისა და მცირე კილომეტრაჟიანისძ წინ შესაბამისმა სამსახურმა „გამოამჭვირვალოს“ ვინ ვინ შედის თანმხლებ დელეგაციაში, ვის რა ფუნქცია აკისრია (თუ საერთოდ აკისრიაძ... რა უჯდება საცოდავი ქვეყნის ხაზინას „მოცემული“ მივლინება ან როგორ გამართლდა დახარჯული თანხა — ამაზე მერე და ცალკე ვილაპარაკოთ ხოლმე...

ებებ ამ გაქანებული გამჭვირვალობის ხანაში მიხეილ-ბატონმა საპრეზიდენტო თვითმფრინავიც გამჭვირვალე დაუკვეთოს, იმის შიგნითაც ხომ ხდება საგულისყურო ამბები; რა, ავლაბრის რეზიდენციაზე ძვირი ეღირება?..

ქამრის მოჭერას რაც შეეხება, რაღაც არ ჩანს, რომ თვითონ ამას აპირებენ. მოჭერილი ქამრებით რას გასწვდებოდნენ, მაგალითად, ლისაბონში ათეულობით მეძავს... ებეც არ იყოს, ზოგიერთი დარბაისელმუცლიანი მაღალმოხელისათვის სპეციალური ქამრის დაკვეთა მოუწევთ, მოჭერამდე ხომ უნდა შემოირტყან...

მართეთ ეს საბრალო ქვეყანა — განა რით, ძმანო: გამჭვირვალობით, ქამრის მოჭერით, მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით. ვინ არის დამშლელი...

**ლუკა გორგაძე**

◉ ფასების ზრდა

# ინფლაციის ორნიშნა ზღვარზე

**ნოემბრის პირველ ნახევარში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლევანდელ ოქტომბერში ინფლაციის დონის თაობაზე მონაცემები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმად, იგი 9,6 პროცენტი ყოფილა. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, ოქტომბრის სამომხმარებლო ფასების ინდექსმა, სექტემბერთან შედარებით, 2 პროცენტით მოიმატა.**

იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ წლის დამდეგს ფინანსთა სამინისტრო გვარწმუნებდა, რომ ინფლაციის წლევანდელი მაჩვენებელი ორნიშნა არ იქნებოდა, ანუ 10 პროცენტს არ გადააჭარბებდა, მისი დონე 9 პროცენტს დიდი ხანია, კერძოდ, სამი თვეა რაც გადაცდა და იმ „სახიფათო", როგორც მთავრობისთვის, ასევე თითოეული ჩვენგანისთვის, ესოდენ არასასურველ ორციფრიან ნიშნულს ძალიან მიუახლოვდა. ამასთან, ბოლო დროს სასურსათო საქონლის ფასების უპრეცედენტო ზრდას თუ გავითვალისწინებთ, იმის იმედი, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში ფასები დასტაბილურდება და აღარ გაიზრდება, თითქმის არ არის. ამ პერსპექტივას სავსებით რეალური, ასე ვთქვათ, „დამატებითი" მიზეზიც აქვს, რომელსაც, პირობითად, „ახალი წლის ციებ-ცხელება" შეიძლება დავარქვათ, დარჩენილი დღეების კლების პროპორციულად, სურსათის ფასები განუხრელად მატულობს.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება ერთ გარემოებას გვინდა მივაქციოთ, რომელიც წლიდან წლამდე ზღვის



მიმოქცევის თანმიმდევრობითა და განუხრელობით მეორდება: **ახალი წლის წინა პერიოდში სასურსათო საქონლის ფასების მატებას, რაც დღესასწაულთან დაკავშირებით მათზე გაზრდილი მოთხოვნითაა განპირობებული, სადღესასწაულო ფორიაქის გავლის შემდგომ ძველ ნიშნულამდე მათი დაწევა, ფაქტობრივად, აღარ მოჰყვება ხოლმე, ხოლო თუ მაინც ხდება, საკმაოდ პირობითი მიახლოებით.** ყოველივე ეს იმის თითქმის ასპროცენტიანი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს, რომ წლეულსაც და გაისადაც ეს კვლავაც ასე მოხდება, მაშასადამე, ეროვნული ვალუტის ინფლაციის დონე კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ **დეკემბერში ინფლაციის დონე საკრამენტულ ორნიშნა ზღურბლს გადააბიჯებს, რომელიც, ალბათ, შემდგომ პერიოდში ერთნიშნა დონეს აღარ დაუბრუნდება.**

სეზონურის გარდა, სასურსათო საქონელზე ფასების ზრდას კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, „მუდმივად მოქმედი" ფაქტორი განაპირობებს. ესაა მსოფლიო ბაზარზე ნედლ ნავთობზე ფასის მატება, რომლის ერთი ბარელის ფასი ბოლო დროს 12 დოლარით გაიზარდა და სადღეისოდ დაახლოებით 90 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

ნედლ ნავთობზე ფასი, ცხადია, პირველად არ იზრდება და ამ მხრივ საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინის, დიზელის საწვავის, ნავთის, მაზუთის და სხვ.ძ იმპორტიორი კომპანიები არსებული, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნარჩენების მარაგის მიუხედავად, თავადაც ფასს ორ-სამ დღეში უმატებენ ხოლმე, ხოლო შემდგომ გაიაფებაზე საკმაოდ „უხალისოდ", ზოგჯერ კი სულაც არ რეაგირებენ. თუ რამდენადაა სასურსათო გადაზიდვები ნავთობპროდუქტების ფასზე დამოკიდებული, ამის თაობაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, დროის ტყუილად ხარჯვაა, ამიტომ ეს სასურსათო პროდუქტების ფასების მატებისა და ინფლაციის დონის ორციფრიან ნიშნულამდე „ახტომის" კიდევ ერთ-ერთი არგუმენტია.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოში ინფლაციის მაღალი დონე, სასურსაო საქონელზე ფასების ზრდა შიდა ფაქტორების გარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოუსვლიანობამ (მაგალითად, ხორბლისძ და, შესაბამისად, მისი ექსპორტის ნაწილობრივმა შეზღუდვამ, ან, სულაც, აკრძალვამ გამოიწვია.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ზაფხულს აქეთ მოყოლილი, ინფლაციის ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება და მისი შემაჩერებელი „დაბრკოლება" ჯერჯერობით რეალურად არ ჩანს. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი სხვა აზრისაა და გაისად ინფლაციის დაახლოებით 6-პროცენტიან დონეზე შენარჩუნებას ვარაუდობს, როგორც ეს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტითაა გათვალისწინებული, რომელსაც ამჟამად პარლამენტში განიხილავენ. ამას ეროვნული ბანკის მიერ გონივრული მონეტარული პოლიტიკის გატარებასა და ლარის კურსის გამყარების მოსალოდნელ შედეგს უკავშირებენ. თუმცა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები რეალურად, ახლო მომავალში დავინახავთ.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ინფლაციის ორნიშნა ზღვარზე მისვლისა, **ზაფხულიდან მოყოლებული ლარის კურსი მყარდება, რაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ვალით აღებული კაპიტალის შემოდინებასთანაა დაკავშირებული.** ამდენად, ვარაუდობენ, რომ ზემოაღნიშნული მიზეზებით სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ზრდის მიუხედავად, წლის დამლევამდე მისი კურსი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, რაზეც ეროვნული ბანკის მცდელობაა მიმართული. ყოველივე ეს ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ უცხოელ ინვესტორებს არანაირად არ აწყობთ ლარის კურსის მერყეობა, მათ სურთ კაპიტალი ადვილად გასათვლელ სავალუტო ბაზარზე დააბანდონ, ხოლო რაც შეეხება ლარის კურსის მოკლევადიან მერყეობას, მას მთლიანად არსებულ ვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ იყიდება საქართველო!

# რეფორმებით გაბრუებული თუ „გაბურებული" ქვეყანა

(მესამე გვერდიდან)

ამ ფონზე ძნელი სათქმელია, როგორ იპოვა „გულმა გული", ქართველებმა გაუწოდეს ბურებს მეგობრობის ხელი, თუ ბურებმა ითხოვეს თავშესაფარი, მაგრამ თეთრკანიანი ფერმერების მიგრაციის პროცესი რომ დაიწყება, უკვე ეჭვს არ იწვევს. ბურების თხუთმეტკაციანი დელეგაცია ქართული მხარის მოწვევით სექტემბრის ბოლოს ეწვია საქართველოს. ისინი 40 ათასზე მეტი ოჯახის მანდატით იყვნენ ჩამოსულები, სწორედ აქედან გაჩნდა ეს ციფრი, რომელიც დიასპორის სამინისტროში ძალიან გაბერილი ეჩვენებათ. ბურებმა მოინახულეს რამდენიმე სამიწათმოქმედო ნაკვეთი, კახეთსაც ესტუმრნენ და ვენახებიც დაათვალიერეს.

ბურების სასოფლო კავშირის გენერალური მენეჯერი ბენი ვან ზილი ერთ-ერთ გაზეთთან საუბრისას ამბობს, რომ ფერმერები საქართველოში საკუთარი ინიციატივით აპირებენ ჩასვლას. „ჩვენ არ ვაპირებთ პროექტი დავიწყოთ მანამ, ვიდრე უფრო მეტი ინფორმაცია არ გვექნება. უნდა შევისწავლოთ ბაზარი, როგორც ადგილობრივი, ისე საექსპორტო. ამის შემდეგ გადავწყვეტთ, რა ვაწარმოოთ", – აცხადებს ბენი ვან ზილი. ის საქართველოში რამდენიმე დღეში ჩამოვა და ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო კლიმატის შესახებ მეტ ინფორმაციას მოიძიებს.

სახელმწიფო ბურებს აუცილებლად დაეხმარებაო, აღნიშნა პირველმა ლედიმ სანდრა რელოვსმა „კურიერ P. S"-თან საუბარში, თუმცა კონკრეტულად რა საკითხებში ექნებათ დახმარება, ღიად არავინ საუბრობს. მთავრობას იმედი აქვს, რომ გლობალური სასურსათო კრიზისის ფონზე საკვებ პროდუქტებზე ფასების პერმანენტული ზრდის პრობლემას საქართველოში ბური ფერმერების ჩამოსახლებით დააბალანსებს. თუკი ბურები საკუთარ მეურნეობებს სამხრეთ აფრიკიდან აქ გადმოიტანენ, ჩვენი სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიგა პროდუქტში 20 პროცენტამდე გაიზრდება. ბურების წარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარსაც გააჯერებს და ექსპორტზეც გავა. ბური ფერმერებისგან ჯერჯერობით კონკრეტული წინადადებები არ მიუღიათ. არც ისაა გადაწყვეტილი, ფერმერებს მიწა საკუთრებაში გადაეცემათ თუ გრძელვადიან მფლობელობაში.

## „ჩვენი მომავალი თანამოძმეები"

ბრიტანული გამოცემა The Independent-ი წერს, რომ ბურებისთვის საქართველოში შეგუება ადვილი



არ იქნება, იმის გარდა, რომ თბილისსა და პრეტორიას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა არ არსებობს, საქართველოში სამხრეთ აფრიკისგან რადიკალურად განსხვავებული კლიმატური პირობებია, რაც ფერმერობის სრულიად ახლებურ მეთოდებს მოითხოვს.

„საერთოდ კი, საქართველოში სხვები კი არ უნდა ჩამოვასახლოთ, არამედ ქართველი კაცი უნდა დავუბრუნოთ მიწას. უნდა ავაღორძინოთ სოფელი, რათა მან გამოკვებოს ქალაქი და ქვეყანა გადაარჩინოს. ქართული მიწის მესაკუთრე და პროდუქციის შემქმნელი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. სოფელი ჩვენი ეროვნული კულტურის საძირკველია, – მიაჩნია ეკონომიკის ექსპერტ პაატა კოღუაშვილს, – 40 ათასი ფერმერის საქართველოში ჩამოსვლა და დამკვიდრება ხუმრობა ჰგონიათ?! მიწა ეროვნული სიმდიდრეა და მას განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება", – დასძენს ექსპერტი.

ძნელი გასათვლელია, რა დასკვნებსა და პროგნოზებს ეყრდნობა ჩვენი მთავრობა, როცა ასე მტკივნეულ საკითხებზე აკეთებს აქცენტს. საკუთარ გადაწყვეტილებაში მხოლოდ დადებითს ხედავს, მაგრამ ყოველთვის თვალს ხუჭავს იმ გარემოებაზე და გვერდით მოვლენებზე, რაც ხშირად ახლავს ხოლმე ამგვარ პროცესს. შესაძლოა, სწორედ ამ მოტივით შეჩერდა დროებით ბურების თემის ტირაჟირება – არანაირი კონკრეტიკა, არავითარი კომენტარი...

მე კი ინტერნეტფორუმის განხილვის დეტალებს მოვიშველიებ: „რატომ არ შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს კერძო საკუთრებაში გადაეცეთ მიწა? თან წაიღებენ? – წერს ერთ-ერთი. პასუხი ასეთია – თუ იცით, რა უქნეს ებრაელებმა ნაყიდ მიწებს? მათ სახელმწიფო ბედუინებისგან ნაყიდ მიწებზე შექმნეს!"

**აი, თუნდაც ამიტომ არის საფრთხილო და კარგად გასააზრებელი, ჩვენი მომავალი „თანამოძმეების" მიგრაციის პროცესის დაწყება საქართველოში.**

**თეა მოსია**

◉ აზრი

# მარტივი არითმეტიკით

**რაც მართალია, მართალია – დიდკაცთა („დიდქალთაც"!) ცხოვრების ზოგიერთი გარემოება სწორედაც გამჭვირვალეა; მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, სისტემატურად რომ აქვეყნებს ერთი მოპოპულარულო გაზეთი, რომელსაც ასავალ-დასავალს დიახაც გაუგებ...**

ამას წინათ ერთ-ერთ ნომერში ორი სიმპათიური ქალბატონის ფოტოებს წავაწყდი სათანადო „დეკლარანტული" ტექსტების თანხლებით. გამოირკვა, რომ პირველ მათგანს, დედასთან ერთად მცხოვრებს, ნაირ-ნაირი უძრავ-მოძრავი ქონების (ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროსძ „პარალელურად" საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე წლიური ხელფასი 67 282 წარი ჰქონია; მეორეს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესის უფროსის თანამდებობაზე (სხვათა შორის, აგრეთვე სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონების პატრონსა და დედიკოსთან ერთად მცხოვრებსძ – 36 000 ლარი.

მარტივი და ცოტა დამრგვალებული გამოთვლა-გაანგარიშებით ნინოს (კალანდაძესძ თვიური ხელფასი 5 607 ლარი გამოუდის, „დღიური" – 186; ასევე უზრალო, მაგრამ დაუმრგვალებელი გამოთვლით ალანას (გაგლოევასძ თვიური ხელფასი 3 000 ლარი ყოფილა, „დღიური" – 100.

ამრიგად, ქალბატონი ნინო **დღეში** იმდენს იღებს, ჩემს **ორი თვის** პენსიას რომ გასწვდება, ქალბატონი ალანას **დღიური** ხელფასი კი ცოტა მორცხვად გამოიყურება და ჩემს მხოლოდ 1 თვის პენსიას ოდნავ აჭარბებს.

იმ დედებს გაფიცებთ, ნინო და ალანა, რას მიკეთებთ დღეში ისეთს, ერთი – 186 ლარისას და მეორე – 100 ლარისას; თუმცა ვინა თქვა გასწორება მთისა და ბარისა...

დაგელოცოს სამართალი, შეგნება და სოციალური ხედვა, გაბატონებულო კლასო, ერთი მუჭა „ნაციონალების" დასო...

**ისე, ამ ორ ახალგაზრდა ქალბატონს, დედებთან ერთად ცხოვრების გარდა, როგორც კეთილი ენები ამბობენ, კიდევ ერთი რამ ჰქონიათ საერთო, მაგრამ, მოდით, ამაზე თქვენც სუ და მეც სუ...**

**ლუკა გორგაძე**

◉ ინფორმაცია

## 2011 წელს სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის მშობიარობა უფასო იქნება

**2011 წელს სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის მშობიარობა უფასო იქნება. ამის შესახებ, „თავისუფალი-დემოკრატების" საკრებულოს ჯგუფის წევრმა ვიქტორ დოლიძემ თბილისის საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხდა.**

**მისივე თქმით, გადაწყვეტილია უსინათლოთა გამყოლებისთვის საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა.**

**გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომ ქალაქის მერის ფონდი (ორი მილიონი ლარი) ძირითადად დაიხარჯება თანამოქალაქეების რეფარალური და ურგენტული მკურნალობის ხარჯების დაფინანსებაზე, რის მონიტორინგსაც ჩაატარებს ჩვენდამი რწმუნებული კომისია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ადამიანი დროში

**ცნობილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო ოპტიკური ტექნიკის საზოგადოების საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტი რაფიელ ჩიქოვანი 80 წლის შესრულდა.**

# მეცნიერი, ორგანიზატორი, აღმზრდელი, ჭეშმარიტად დიდებული პიროვნება

მაღალი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, დიდი ორგანიზატორული ნიჭი, პერსპექტიული ალღო, ყურადღებიანი და უაღრესად გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანებისადმი — ამ პირადმა თვისებებმა საყოველთაო პატივისცემა და ავტორიტეტი მოუპოვეს რ.ჩიქოვანს.

რაფიელ ჩიქოვანი დაიბადა 1930 წლის 29 ნოემბერს, დაბა ცაგერში, მოსამსახურის ოჯახში. 1937 წელს შევიდა ცაგერის საშუალო სკოლაში, ხოლო 1948 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლა. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1963-1965 წლებში იმყოფებოდა ქ. მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტში. 1965 წელს ქ. თბილისში ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით, გამოიძახეს და დანიშნეს დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. რ. ჩიქოვანის უშუალო ხელმძღვანელობით ინსტიტუტში შეიქმნა ნახევარგამტარული ოპტოელექტრონიკის მიმართულება. 1973 წელს ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი" ქარხნითურთ და რ.ჩიქოვანი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ, ხოლო შემდეგ, 1977 წელს — დირექტორად.

1977-1984 წწ. რაფიელ ჩიქოვანი იყო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „მიონის" და მისი ქარხნის დირექტორი.

ამ პერიოდში „მიონმა" მნიშვნელოვან სამეცნიერო და საწარმოო წარმატებებს მიაღწია: გაიზარდა საწარმოს ტექნიკური დონე; შეიქმნა ქარხნის ფილიალები თელავსა და წალკაში; დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა ახალი მიკროელექტრონული ხელსაწყოები; შესრულდა სამუშაოების სრული ციკლი ოპტოელექტრონიკის მასალების კვლევიდან დაწყებული ხელსაწყოების შექმნითა და მათი წარმოებაში დანერგვამდე; დაიწყო მიკროელექტრონული და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების სერიული გამოშვება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მათი ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში; აშენდა საცხოვრებელი სახლები „მიონის" თანამშრომლებისათვის, ახალგაზრდული ბანაკი, პროფილაქტორიუმი, კურორტ ბაკურიანის დასასვენებელი ბაზა და სხვ. „მიონი" გახდა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაცია.

რ. ჩიქოვანმა 1970 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1998 წელს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1992 წელს აირ-



ჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1996 წელს – ამ აკადემიის ნამდვილ წევრად.

ოპტოელექტრონული ხელსაწყოების დამუშავებისა და შექმნისთვის თანამშრომლებთან ჯგუფს რ.ჩიქოვანის ხელმძღვანელობით, 1980 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

რ. ჩიქოვანს გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ხუთი სახელმძღვანელო, მიღებული აქვს 12 საავტორო მოწმობა და 19 პატენტი. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი მისი პუბლიკაციები საქართველოში მიკროელექტრონიკის განვითარების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მტკივნეული საკითხის მიმართ.

გარდა ძირითადი საქმიანობისა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მრავალი საქმე, რომელთა განხორციელებაშიც რ. ჩიქოვანს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნახევარგამტარების ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის შექმნა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის კათედრის ორგანიზება; სტუს ფიზიკის დარგის საბჭოში ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობის ჩამოყალიბება და საბჭოს შემდგომი ფუნქციონირება; სტუ-ში მიკროელექტრონიკის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის შექმნა და ხელმძღვანელობა; საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოების შექმნა; საერთაშორისო ოპტიკური საზოგადოების (SPIEძ საქართველოს ეროვნული კომიტეტის შექმნა და ხელმძღვანელობა; მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების აღორძინება (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მეცნიერება და რელიგია" ჩატარება, იუნესკოს გადაწყვეტილების საფუძველზე ფიზიკის წლისადმი (2005ძ მიძღვნილი კონფერენცია, იუნესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომების ჩატარება ყოველწლიურად, უნიკალური წიგნის „ბაგრატიონების სამეცნიერო და კულტურული მოღვაწეობა" მომზადება და გამოცემა, მრავალი კრებულის გამოცემა ქართველი მეცნიერების მოღვაწეობისა და სახელის უკვდავსაყოფად, ტექნიკური მეცნიერებების მომავალი პრიორიტეტების განსაზღვრა და სხვ.ძ.

რაფიელ ჩიქოვანი უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესის ორგანიზატორი და აღიარებული პედაგოგია. 1989-2004 წლებში იგი იყო საინჟინრო-ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, სტუ-ს ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის ხელმძღვანელი, ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-ტექნიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტის დეკანი.

რ.ჩიქოვანს აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის სტაჟი. იგი სხვადასხვა დროს თსუ-სა და სტუ-ში კითხულობდა და ამჟამადაც კითხულობს ლექციების კურსს ფიზიკისა და ტექნიკის სხვადასხვა სპეციალობებში.

სამაგალითოა რ. ჩიქოვანის დამოკიდებულება სტუდენტებთან და თანამშრომლებთან. იგი არის პრინციპული, მომთხოვნი, სამართლიანი, გულისხმიერი, არაჩვეულებრივად კეთილმოსურნე და მზრუნველი, სპეტაკი პიროვნება.

რ. ჩიქოვანი დაჯილდოებულია მთავრობის ორდენებითა და მედლებით, მიღებული აქვს ღირსების ორდენი, გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი, საპატიო სიგელები, სხვადასხვა გამოფენების ოქროსა და ვერცხლის მედლები.

რაფიელ ჩიქოვანი დღესაც ახალგაზრდული ენერგიითა და მონდომებით მუდმივად ახლის ძიებაშია. ის განსაცვიფრებელი შემართებით განაგრძობს მრავალმხრივ მოღვაწეობას და თავდაუზოგავად იღვწის საქართველოში ელექტრონიკის აღორძინებისთვის, ახალი ნანოტექნოლოგიებისა და ნანოელექტრონიკის განვითარებისთვის.

საამაყოა, რომ იგი მზრუნველობას და სიყვარულს არ აკლებს თავის ოჯახს — შესანიშნავ მეუღლეს ეკა მაჩაბელს, სამ სამაგალითო შვილს და შვიდ შვილიშვილს.

ვუსურვებთ ბატონ რაფიელს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა ჩვეული ენერგიით, ხალისით, დაუშრეტელი შრომისუნარიანობით და ღრმა ინტელექტით ემსახუროს თავის ქვეყანასა და ხალხს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი;**

**საქართველოს საინჟინრო აკადემია;**

**მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება;**

**სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი;**

**სტუ-ს ფიზიკის დეპარტამენტი.**

◉ სამეგრელო

## თომას ფლეთჩერს ახალი დირექტორი დაუნიშნეს

**„საყოველთაოდ აღიარებული" ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს.** მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ყოფილმა დირექტორმა ქალბატონმა ხათუნა დარასელიამ კბილებით დაიცვა ინგლისურის ე.წ. მასწავლებელი თომას ფლეთჩერი, ის მაინც ვერ გადაურჩა თანამდებობის დატოვებას. გავრცელებული ვერსიით ხათუნა დარასელიას გათავისუფლების მიზეზი გახდა მის მიერ რვა მასწავლებლის მოხსნა და „ქართული პარტიის" ზუგდიდელი ლიდერის კახა მიქაიას ხელში აღმოჩენილი სურათები, სადაც ხათუნა დარასელიასთან ერთად იმყოფებიან ზუგდიდის რესურსცენტრის ხელმძღვანელი აზა ჯოჯუა, თომას ფლეთჩერი და დიმიტრი შაშკინი.

მე-4 სკოლის დირექტორად დანიშნეს ზუგდიდში ყველაზე პრესტიჟული დირექტორი ზურაბ კუპრეიშვილი, რომელიც ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლას ხელმძღვანელობდა. წაუყენეს ულტიმატუმი, ან ჩაუდგებოდა მე-4 საჯარო სკოლას და აღუდგენდა ამ სკოლას შელახულ იმიჯს, ან საერთოდ წავიდოდა სისტემიდან. ხათუნა დარასელია კი მე-10 საჯარო სკოლაში გაამწესეს დირექტორად, თუმცა მას სკოლის პედკოლექტივი და ბავშვების მშობლები სკოლაში არ უშვებენ...

## „თუ ასე გაგრძელდა, მგლები შესაძლებელია ქალაქშიც გამოჩნდნენ"

**სამეგრელოს რეგიონში მგლების ბუდე ურთის მთაზეა, იქიდან ჩამოდიან და ესევიან სოფლებს. მოსახლეობა შეძრწუნებული და დაშინებულია. ითხოვენ დახმარებას. ზუგდიდის მონადირეთა კავშირის თავმჯდომარის გურამ თირქიას განმარტებით, მგლების მოკვლა მთელ რიგ სირთულეებთან და სიძნელეებთან არის დაკავშირებული.**

„ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული ზუგდიდის და ხობის მუნიციპალიტეტებთან. ამ ხელშეკრულებით ზუგდიდში უნდა მოვკლათ 7, ხოლო ხობში 5 მგელი. მეტის უფლებას არ გვაძლევენ, რადგან მგელს სხვადასხვა უარყოფით თვისებებთან ერთად — სანიტარიის ფუნქციაც აკისრია, ანადგურებს ავადმყოფ ცხოველებს. თუმცა რაც დავალებული გვაქვს იმის განხორციელებასაც ვერ ვასრულებთ. მგელი ძალიან ფრთხილი ცხოველია. ადამიანის სუნი 300-400 მეტრის სიშორიდან სცემს. თანაც დავალებული გვაქვს მგლები ჩასაფრებით მოვკლათ, რადგან სხვა ცხოველები არ დაზარალდეს. ასე მგლის მოკვლა თითქმის შეუძლებელია, ამიტომაც გასულ წელსა და წლეულს სულ ოთხი მგელი მოვკალით" — აცხადებს გურამ თირქია. მისი თქმით — „მგლების გასანადგურებლად აუცილებელია მონადირე ძაღლები — 20-მდე მონადირე, რომლებიც შევლენ ტყეში და მოუჭრიან მგლებს გასაქცევ გზებს. ამის ნებართვას არ იძლევიან, არადა მგლები მრავლდებიან — ერთ დედა მგელზე მოდის 5 ლეკვი. ძალიან გვიჭირს ეკონომიურადაც. თითო გასვლა 80-100 ლარი გვიჯდება. ფულს მხოლოდ მაშინ გვაძლევენ თუ მგელი მოვკალით. თუ ასე გაგრძელდა, მგლები შესაძლებელია ქალაქშიც ვიხილოთ" — დასძინა გურამ თირქიამ.

## ზუგდიდელი ფეხბურთის გულშემატკივრები საქართველოს პრეზიდენტს დახმარებას თხოვენ

**ზუგდიდელმა ფეხბურთის გულშემატკივრებმა წერილი გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.**

„ბატონო პრეზიდენტო! ზუგდიდის მოსახლეობის სახელით მოგმართავთ თხოვნით, შეგვინარჩუნეთ ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ბაია" და მიეცით მას საშუალება გააგრძელოს თამაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. სამი თვეა კლუბის ფეხბურთელები და მწვრთნელები მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე გადიან მოედანზე... იმედს ვიტოვებთ, გამოიჩენთ გულისხმიერებას სამეგრელოს მოსახლეობისადმი და დაგვეხმარებით რეალური სპონსორის მოძებნაში" — ნათქვამია პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს 10000 ფეხბურთის გულშემატკივარი.

ზუგდიდის „ბაიას" მთავარი მწვრთნელის ელგუჯა ქომეთიანის განმარტებით, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ისევ საფეხბურთო კლუბების ბიუჯეტიდან დაფინანსებაა.

„საფეხბურთო კლუბების ბიუჯეტიდან დაფინანსება ყველა ქვეყანაში მიღებული ფორმაა და ჩემთვის გაუგებარია რატომ თქვეს ამაზე უარი საქართველოში. „ბაია" ეკონომიკის სამინისტროს გადასცეს, სპონსორი კი არ ჩანს და შეიძლება არც გამოჩნდეს, რასაც მოჰყვება გუნდის დაშლა, ამიტომაც ისევ ძველ ფორმას უნდა დავუბრუნდეთ. თუ გუნდს სპონსორი არ ჰყავს — დაფინანსდეს ბიუჯეტიდან".

**ლადო ქირია, ზუგდიდი.**

◉ ინფორმაცია

## ბათუმის ახალ ბულვარში კინეტიკური ქანდაკება დაიდგა

**მობილური ქანდაკების სიგრძე 8 მეტრი, ხოლო სიმაღლე 6 მეტრია. მონუმენტი შავი ლითონისგან არის დამზადებული და მასზე დამუშავებული მხატვრული საღებავი და ანოდირებული სარკის ფირფიტებია გამოყენებული. ქანდაკების თითოეული ფირფიტა მექანიკურია და ის ქარის მიმართულებით მოძრაობს.**

**არქიტექტორმა თენგიზ სეფიაშვილმა კინეტიკურ ქანდაკებას „კომპოზიცია„ უწოდა და მას „ნატვრის ჩიტის" დატვირთვა მისცა, თუმცა როგორც ქანდაკების ავტორი ამბობს, კინეტიკურ ქანდაკებას კონკრეტული სახელი არა აქვს და ნებისმიერ ადამიანს საკუთარ ასოციაციას უქმნის.**

## დები იშხნელების სიმღერების ფონოჩანაწერთა კოლექცია

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ფონოგანყოფილებაში დაცულია დები იშხნელების ვოკალური კვარტეტის სიმღერების ფონოჩანაწერები. ამ კოლექციის შესახებ ინფორმაცია ეროვნული საარქივო ფონდებისა და კოლექციების ყოველკვირეული მიმოხილვის ფარგლებში ქვეყნდება.**

**დები იშხნელების ვოკალური კვარტეტი 1941 წელს შეიქმნა ნინო, თამარ, ზინაიდა, ალექსანდრა იშხნელების შემადგენლობით. 1955 წლიდან ალექსანდრა იშხნელი შეცვალა მისმა დამ — მარიამმა. დიდია იშხნელების წვლილი ქართული სამხმიანი ქალაქური ხიმღერების დახვეწასა და რეპერტუარის გამდიდრებაში.**

**ХО-ЭИВ-ЭНО**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გამოსასვლელი დღის ბომბები

**თბილისში ორი აფეთქება მოხდა შაბათ საღამოს, პირველის ნახევარზე და დაახლოებით ორ საათზე მოსკოვის დროით. სავარაუდოდ, გამოყენებული იქნა ტროტილი. პირველი აფეთქება მოხდა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ და მჭიდროდ დასახლებულ რაიონში ჯავახიშვილის ქუჩაზე და მან დაანგრია ლეიბორისტების ოპოზიციური პარტიის ოფისი**



შუშის ნამსხვრევებმა მძიმედ დაჭრა მახლობლად მცხოვრები 58 წლის ნინო გორდეზიანი. ის უბედური ამ დროს ტელევიზორს უყურებდა, როდესაც თავზე დაემხო ფანჯრები. რამდენიმე საათის შემდეგ იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა, კონტუზია მოუვიდა ოთხ კაცს, მათ შორის, პარტიული ოფისის მცველს. „ეს არის ტერორისტული აქტი ოპოზიციის დასაშინებლად“, — განაცხადეს ლეიბორისტებმა და დაიმუქრნენ, რომ უპასუხებენ საპროტესტო აქციებით.

მეორე აფეთქების მიზანი მუხიანის რაიონში გაურკვეველია — ეს არის თბილისის გარეუბანი. ადგილობრივი მცხოვრებლები გაოგნებული არიან, თუ რატომ გახდნენ ისინი სასროლის მიზანი. აფეთქებამ მრავალსართულიანი სახლის ფანჯრები დაამსხვრია, არავინ დაზიანებულა.

თბილისის პარლამენტის წევრმა „ხალხის პარტიიდან“ კობა დავითაშვილმა აღნიშნა, რომ „მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიოს“. მისი სიტყვებით, უნდა დაისვას საკითხი, ხომ არ დაიწყო ქვეყანაში „პოლიტიკური ტერორის ეპოქა“.

ოპოზიციონერმა „ახალი მემარჯვენეების“ პარტიიდან მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, რომ „ხელისუფლებას ეშინია სოციალური უკმაყოფილების აფეთქებისა, ამიტომ მას ხელს აძლევს მოსახლეობის დაშინება. და ეს ორი აფეთქებაც შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო“. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში შეინიშნება ოპოზიციის აქტივიზაცია, გასული კვირის ბოლოს საქართველოს საყოველთაო კრებამ, რომელიც თბილისში რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა, მოითხოვა ხელისუფლების გადადგომა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ აფეთქება ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ტიპისაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდაცვის უწყება დაგვპირდა, რომ მოგვაწვდიდა უფრო სრულ ინფორმაციას კრიმინალისტური ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას 4-დან 7 წლამდე გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების წინასწარგანზრახული აფეთქებისთვის, რასაც მოსდევს საფრთხე სიცოცხლისათვის და ქონების დაზიანება.

უშიშროების საკითხებში ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი აფეთქებების პოლიტიკური სარჩულის შესახებ. მისი სიტყვებით, „მოხდა სამართალდაცვის ორგანოების გამოწვევა, რომლებმაც დროულად უნდა გამოიკვლიონ მომხდარი, რათა საზოგადოებაში არ წარმოიქმნას ეჭვი ვინმეს დაშინების მცდელობასთან დაკავშირებით.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## ქართველმა ოპოზიციონერმა გაჩეჩილაძემ „პოლიტიკური არმიის“ შექმნა გადაწყვიტა

**პრეზიდენტობის ექს-კანდიდატმა, ოპოზიციური „საქართველოს პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ ორშაბათს განაცხადა საკუთარი „პოლიტიკური არმიის“ ჩამოყალიბების დაწყების შესახებ**

მან „პირობა დადო, რომ ძლიერი პოლიტიკური არმია 50 ათასი კაცის შემადგენლობით შეიქმნება უახლოეს დროში“.

„ყოველგვარი კომპრომისის გარეშე გამოვიყენებ ყველა რესურსს, რათა ამჟამინდელი რეჟიმი შევცვალოთ ერთიანი ფრონტით“, — თქვა მან.

ლევან გაჩეჩილაძე დაგვპირდა, რომ იქნება „რიგითი ჯარისკაცი ორგანიზებულ ბრძოლაში“.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ განზრახული აქვს კონსულტაციები პარლამენტის ექს-თავმჯდომარესთან, „დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერთან ნინო ბურჯანაძესთან, რომელიც საქართველოს სრულიად სახალხო კრებასთან ერთად ამ კვირაში დაიწყებს ქვეყანაში სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტების შექმნას.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## თბილისმა მადლობა გადაუხადა მოსკოვს ოლიმპიური ფესტივალის მიღებაში მხარდაჭერისთვის

**საქართველოს მხარემ მადლობა გადაუხადა რუსეთს ბელგრადში კენჭისყრის დროს მხარდაჭერისთვის თბილისში 2015 წელს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამართვასთან დაკავშირებით**

ანგარიშით 26:21-ით თბილისმა მოუგო ბრნოს, რუსეთის დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა საქართველოს.

ორშაბათს, ბელგრადიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა განაცხადა: „ძალიან კარგია“, რომ რუსმა კოლეგებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დედაქალაქის კანდიდატურას.

მან გვაცნობა, რომ კენჭისყრის წინ შეხვდა რუსეთის დელეგაციას, რომლის დროსაც დაგვპირდნენ, რომ ხმას მისცემდნენ თბილისს და არა ბრნოს.

შეჯიბრებები გაიმართება სპორტის ცხრა სახეობაში. ასეთი დონის შეჯიბრება პირველად გაიმართება ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**თეირანში ბირთვული დარგის ფიზიკოსები ააფეთქეს საკუთარ მანქანებში**

**სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით, დაიღუპა ერთი თუ ორი ირანელი ფიზიკოსი, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ირანის ბირთვულ პროგრამასთან. აფეთქება მოხდა მაშინ, როდესაც მეცნიერები ცოლებთან ერთად ჩასხდნენ თავიანთ მანქანებში და მიდიოდნენ სამსახურში. ირანი მკვლელობაში ბრალს სდებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის აგენტებს.**

**სეული ფხენიანს შურისძიებით ემუქრება. აშშ და ჩინეთი უკვე განიხილავენ საკითხს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ კორეასთან მიერთების შესახებ**



**სამხრეთ კორეის პრეზიდენტი იმუქრება უფრო გადამწყვეტი ზომებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი პროვოკაციების საპასუხოდ და 4 ათას ჯარისკაცს აგზავნის კუნძულ იონპხიონდოში, რომელსაც ესროდნენ ჩრდილოეთ კორეელი არტილერისტები. ამ დროს გაირკვა, რომ ჩინეთს ეშინია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შთანთქავს სამხრეთი კორეაო.**

**აშშ-ს დიპლომატები წერენ პუტინის საიდუმლო თიკუნებისა და რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მაფიასთან კავშირების შესახებ**



**გამოქვეყნდა ათეული ათასობით ფაილი ონლაინ არქივებიდან, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო დეპარტამენტის მიმოწერას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებთან საზღვარგარეთ, მათ შორის, რუსეთშიც. კერძოდ, გაირკვა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ამერიკელები უწოდებენ მკრთალსა და გაუბედავს, პრემიერს კი — „ალფა-მამალ ცხოველს“.**

**მოლდოვის პარლამენტის არჩევნებში კომუნისტები ლიდერობენ**

**ამავე დროს კომუნისტების პარტია საბოლოოდ კარგავს შანს, მიიღოს სადეპუტატო მანდატების უმრავლესობა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების თანახმად, ბიულეტენების 60 პროცენტის დამუშავების შემდეგ კომუნისტების პარტია ღებულობს ამომრჩეველთა 40,7 ხმას (43 ადგილს 101-დან პარლამენტში).**



# საქართველო მხოლოდ ბაყაყების ექსპორტით თავს ვერ გაიტანს

**ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები განსაკუთრებულად პედანტურები არიან და კეთილი მწყემსის იგავს მათ რწმენაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა ამ ბოლო დროს, ქართველი კეთილი მწყემსები ისლამის მადლიერები არიან, რადგან 18 ნოემბერს ჰაჯი დასრულდა**

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ ახალი გზა მოძებნა და საქონლის ექსპორტს მუსულმანურ დღესასწაულს, ცხვრის შეწირვის რიტუალს უსადაგებს. საქონლის ექსპორტი ახლა საქართველოსთვის ღვინოზე მომგებიანია და რიგით მეცხრე ადგილზეა. შარშან საქართველომ კიდევ უფრო უცნაური პროდუქტის ექსპორტს მიჰყო ხელი: ბაყაყებისას. ფრინველის გრიპის ეპიდემიის გამო, ბაყაყის ხორცზე საერთაშორისო მოთხოვნა გაიზარდა, ამიტომ 2009 წელს საფრანგეთში 250 000-ზე მეტი ქართული ბაყაყი გადაიგზავნა და წლევანდელი წლის მაჩვენებლები კი ერთი ორად მეტი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია დადებითი პროცესია, საქართველოს მაინც გაუჭირდება ვაჭრობის დეფიციტის მოგვარება, სანამ ისეთი ყოველდღიური საკვების იმპორტს აწარმოებს, როგორიცაა, მაგალითად, ახალი რძე. ქართული ბრენდები რძის ფხვნილისგან დამზადებულ რძეს ყიდიან.

საქართველოს ბოლოდროინდელი ეკონომიკური წარსული საკმაოდ ექსტრემალურია. კომუნისტური მმართველობის დროს საქართველო ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის ნაწარმით საბჭოთა კავშირის უმეტეს ქვეყნებს ამარაგებდა, მაგრამ სსრ კავშირის დანგრევას ეკონომიკური კატასტროფა მოჰყვა. 1991 წელს დაახლოებით ნახევარი მილიონი ქართველი ინდუსტრიულ სფეროში მუშაობდა. 2004 წლისთვის კი 100 000 კაცზე ნაკლები იყო ამ სფეროში დასაქმებული. ამ წლებში ჯართის შეგროვება ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ექსპორტად იქცა და ეს ფაქტი დღემდე არ შეცვლილა. ქვეყნის სამეურნეო სექტორის ჩამოშლას (ჩაი, ხორცი, ციტრუსი, ხილი და სამეურნეო დამუშავებაძ ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე მძიმე შედეგი მოჰყვა. შედეგად, 2004 წლისთვის საქართველოს მშპ 1989 წლის მაჩვენებელთან შედარებით 45%-ით დაეცა.



ამან ხელი შეუწყო ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოყვანას, რომელსაც სათავეში მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგა და ულტრალიბერალურ რეფორმებს და ანტიკორუფციულ მოქმედებებს ჩაუყარა საფუძველი. შედეგები გასაოცარი იყო: 2006-2007 წლებში წლიური ზრდის მაჩვენებელი გაორმაგდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გაიზარდა და კრედიტების ხარისხმაც ერთიორად იმატა, მაგრამ არც კრედიტები და არც ინვესტიციები არ ეხებოდა საექსპორტო სექტორს და არც წარმოების რაოდენობა გაზრდილა. ძირითადად მშენებლობა, უძრავი ქონება და სხვა არა საბაზრო სექტორები გამოდგა მომგებიანი.

2008 წელს ეკონომიკის სწრაფ ზრდას ორი უსიამოვნება დაატყდა თავს: ომი რუსეთთან აგვისტოში და გლობალური ფინანსური კრიზისი. უცხოელი ინვესტორები ქვეყნიდან წავიდნენ და 2009 წლისთვის, საქართველოს ეკონომიკა 7%-ით შეიკვეცა. ახლა უკეთესი მდგომარეობაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, 2010 წელს მშპ 4.5%-ით მოიმატებს. ბიუჯეტის დეფიციტი, რომელმაც 2009 წელს მშპ-ს 9.2%-ს მიაღწია, ახლა 6.3%-მდე დავა, მაგრამ 2013 წლისთვის ევროობლიგაციების ვალის გადახდის ვადა იწურება, შესაბამისად ახლა პრიორიტეტების სიაში არსებული ანგარიშის დეფიციტის შემცირებაა, რომელიც მშპ-ს 12.6%-ს წარმოადგენს და უცხოური ვალუტის გენერირებაა.

ეს მძიმე ამოცანაა. უცხოური დახმარება (4.5 მილიარდი დოლარი, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში რუსეთთან ომის შემდეგ აღუთქვესძ დროთა განმავლობაში აუცილებლად შემცირდება და საგადასახადო ბალანსში გარღვევას გამოიწვევს. სხვა მცირედი ელემენტები, მაგალითად, ფულადი გზავნილები ქართული დიასპორიდან დარჩება, მაგრამ ისიც გლობალური ეკონომიკის ფლუქტუაციებზეა დამოკიდებული. მთავრობისთვის ყველაზე დიდი პრობლემა ახლა ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული უზარმაზარი დისბალანსის დარეგულირებაა.

საქართველოს მთავრობა შეჩვეულია, რომ ეკომონიკის მართვისთვის მას ყოველთვის აქებდნენ: მსოფლიო ბანკმა „იოლი ბიზნესის წარმოების“ ჩარტებში საქართველო მე-12 ადგილზე დააყენა, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა ყურადღება მიექციათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დონისთვის. 2010 წელს მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში — რომელიც მსოფლიო ბანკზე უფრო მაღალი საზომია — საქართველო 139 ქვეყანას შორის 93 ადგილზეა.

გზა, რომელსაც საქართველო ეკონომიკის სამართავად 2004 წლიდან იყენებდა, აღსანიშნავი იყო, მაგრამ ამ პოზიციის განმტკიცებას ბევრად უფრო მეტი მუშაობა დასჭირდება.

The Economist

## „ქართველი თეოფილე“

**საბერძნეთის პრესტიჟულ ნაზეთში „NTA NEA“ (სიახლე) დაიბეჭდა ცნობილი ბერძენი კინოკრიტიკოსის დიმიტრი დანიკას სტატია „ქართველი თეოფილე“.**

თეოფილე ხაძიმიხალისი საბერძნეთის უდიდესი თვითნასწავლი მხატვარი იყო, რომელიც 1867 წელს მიტილინში (ჩრდილოეთ ლესბოსი), ეგეოსის ერთ-ერთ ულამაზეს კუნძულზე, ძალიან ღარიბ ოჯახში დაიბადა. რთული ბავშვობა გაიარა, მშობლებს მისი მისწრაფება არ მოსწონდათ, მაგრამ უბადლო ნიჭმა თავისი გაიტანა. სიღარიბის გამო ის 18 წლის ასაკში ტოვებს ოჯახს და სმირნაში (დღევანდელ თურქეთში) მიემგზავრება, სადაც საბერძნეთის საკონსულოს კარისკაცად იწყებს მუშაობას. 1897 წლიდან კი დასახლდა ქ. ვოლოში, სადაც მისი ძირითადი საქმიანობა სახლების, ტავერნებისა და მაღაზიების მოხატვა იყო, გასამრჯელოდ კი ერთ ულუფა საჭმელსა და ცოტაოდენ ღვინოს აძლევდნენ, თეოფილეს შემოქმედება ძირითადად ტიხოგრაფიაა. მისი მოხატული ტიხოგრაფიები დღემდე შემორჩენილია რამდენიმე ქალაქში, სადაც მას მუშაობა უხდებოდა. ნახატების თემა ძირითადად ორი მიმართულებისაა, ისტორია და ხალხური კულტურა, გადმოცემულია თბილი და სადა ტონებით, სადაც ჩანს აკადემიური სამხატვრო ხელოვნების ზენიტი.

თეოფილემ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქ. პილოში გაატარა, სადაც მფარველობდა მდიდარი მიწათმოქმედი იანის კონდოსი, რომლის სახლი მთლიანად თეოფილეს ნახატებით იყო დაფარული და დღემდე შენარჩუნებულია. დღეს ეს სახლი თეოფილეს სახლ-მუზეუმია.

გარდა მხატვრობისა, თეოფილე ხშირად მონაწილეობდა ხალხურ-თეატრალურ წარმოდგენებში, დღესასწაულებზე გამართულ ზეიმებსა და კარნავალებში, ალექსანდრე მაკედონელის ან ბერძენი რევოლუციონერების, სახალხო გმირის როლში, ქმნიდა აგრეთვე მსახიობთა კოსტიუმებს.

1927 წლიდან დაბრუნდა მიტილინში, სადაც სახლების მოხატვას აგრძელებდა. მისი უამრავი ნახატი სხვადასხვა მიზეზის გამო (კატასტროფები, სახლების დანგრევა) დაკარგულია.

მიტილინში მას შეხვდა დიდი ბერძენი ხელოვნებათმცოდნე და გამომცემელი – სტრატოს ელევტერიადისი, რომელიც პარიზში მოღვაწეობდა. მას უნდა ვუმადლოდეთ თეოფილეს საქვეყნო აღიარებას. ელევტერიადისის პირადი ხარჯებით გაიხსნა სოფელ ვარიაში თეოფილეს სახლ-მუზეუმი.

თეოფილე გარდაიცვალა 1934 წელს (საჭმლით მოიწამლა), ერთი წლის შემდეგ კი მისი ნამუშევრები ლუვრში გამოიფინა, როგორც უდიდესი სახალხო შემოქმედისა და მხატვრისა. მის შედევრებზე უამრავი წიგნია დაწერილი. მათ შორის ორი ბერძენი ავტორი გიორგი სეფერისი და ოდისეი ელიტისი ნობელის პრემიითაა დაჯილდოებული.

კინოკრიტიკოსი დიმიტრი დანიკა ამბობს: ვისაც სჯერა, რომ საუკეთესო ბიოგრაფიულ ფილმს მიეკუთვნება ფილიპ ჰოპმანის „ცაპოტე“ ან იმავე 2005 წელს გადაღებული ჯონ კას ხოიაკინ ფინიქსის „წალკ ტპი ლინე“, კინოხელოვნებაში უვიცია. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, რამდენი ბიოგრაფიული ფილმიც არ უნდა გადაიღონ ამერიკელებმა, გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“ მუდამ ქედმაღლურად გადმოხედავთ მათ და სარკასტულად გაუღიმებს.

ვინ ბრძანეთ? გიორგი შენგელაია? – თავმდაბალი, ლოიალური პიროვნებაა. დიალაც ზუსტად ასეა, რადგან რაც არ უნდა წარმოუდგენლად ისმოდეს, სტალინისა და ბრეჟნევის დროს რუსეთისა და საბჭოთა კინოხელოვნება ზენიტში იყო, ბრწყინავდა. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ეს სიმართლეა. გამორჩეულია ათობით სახელი, ასობით ფილმი და საერთაშორისო აღიარება.

როგორ მოხდა ეს?

ორი მიზეზის გამო: პირველი, უდიდესი სახელმწიფო დაფინანსება, როდესაც ვამბობ უდიდესს, ვგულისხმობ ჰოლივუდის მასშტაბებს. მაგრამ იტყვით ამ ყველაფერს ჩრდილავდა შიში, ანადგურებდა კრიტიკა, დიახ ვეთანხმები მეც, მაგრამ ზეწოლა, ცენზურა, დაბრკოლებები ანვითარებდა უსაზღვრო ფანტაზიას, სულს, ორიგინალობას, აგრეთვე დიდ ხელოვანთა დაუბრკოლებელ შემოქმედებით სურვი-

# სახალხო მხატვარი ფიროსმანი



ლს, ყოველივე ეს მათ საშუალებას აძლევდა, დასხლტომოდნენ იდეოლოგიურ და სახელმწიფო წინააღმდეგობებს. – ეს არის მეორე მიზეზი. კინოკრიტიკოსი ამბობს, გეუბნებით და სერიოზულად მჯერა იმისა, რომ დათვისგან განსხვავებით ხელოვანი ცეკვავს, როდესაც მშიერია (ბერძნული ანდაზა „მშიერი დათვი არ ცეკვავს“).

მაგალითად, ანდრეი ტარკოვსკი (1932-1986) ყველა ეპოქის უდიდეს რეჟისორად აღიარა ინგრინ ბერგმანმა (1918-2007), მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ცენზურა, საბჭოთა სტუდია აფინანსებდა იმ ფილმებს, რომელთა ავტორებს ხალხის მტრად მიიჩნევდა. აი წარმოიდგინეთ, ხართ ამერიკელი, სისტემის მოწინააღმდეგე იდეოლოგიის მიმდევარი, ხელს აწერთ პროტესტებს ერთი საბრალო უმცირესობის სასარგებლოდ და დაგაფინანსებთ კინომწარმოებელი?.. მილიონიდან არც ერთ შემთხვევაში. სამაგალითოდ კი უფრო განსაცვიფრებელს გეტყვით: „პატარა“ საქართველომ, ბრეჟნევის დროს, წარმოაჩინა სამი ბუმბერაზი კინორეჟისორი, რომელთა სახელის გაგონებაზე ქედს იხრის სრულიად კინოხელოვნების შემოქმედებითი ელიტა – სერგო ფარაჯანოვი (1924-1990), ოთარ იოსელიანი (1934!) და გიორგი შენგელაია (1937). შესაბამისი ანალოგიები, ასეთი ამაღლება საკმაოდ შორსაა თავისუფალი და დემოკრატიული საბერძნეთიდან. ჰეი, გაიგეთ სინამდვილე, რომ არ ჩამორჩეთ სიბეცეში წუთისოფელს!..

* * *

შეუდარებელი ესთეტიკური უპირატესობა შენგელაიას შემოქმედებისა გამოხატულია ასეთ „ნაქარგში“, ფიროსმანის ყოველი სურათ „პრიმიტივს“ მოსდევს ანალოგიური ფოტოგრაფიული სცენა. ასე გამოსახავს სახეებს, ასე „ხატავს“ ბუნებას, ასე ასურათებს ყველაფერს ამ ფილმში, დაუჯერებელი მსგავსებაა. ყოველი კადრი, ყოველი სცენა წარმოდგება, როგორც სურათი ერთი უზარმაზარი გალერეისა, რომელიც ეძღვნება თავმდაბალ, ჩამოძენძილ, განმარტოებულ ქართველ სახალხო მხატვარს – ფიროსმანს.

ნიკო – საქვეყნოდ ცნობილი ბერძნული ფესვების მქონე ალექსანდრიის ეპოქიდან – ფირსმანაშვილი თუ პიროსმანი (1862-1918), წარმოშობით საქართველოს მიკროსკოპულ სოფელ მირზაანიდან სინონიმია თეოფილე ხაძიმიხალისის (1870-1934), რომელიც კუნძულ ლესბოსის სოფელ ვარიადანაა. თვითნასწავლი. პრიმიტივისტი, განსხვავებული, უცნობი, თავმდაბალი. გარიყული. მხატვრობასთან ფიზიკურად შესისხლხორცებული და ფსიქოლოგიურად მიჯაჭვული. როგორ მოხდა ეს? ამხელა სიდიადე, იდუმალი, ჯადოქრული და მიუღწეველი საიდუმლო ნამდვილი ხელოვნებისა, როგორც ვინსენტ ვან გოგი (1853-1890). სხვათა შორის, ყველა ეპოქის ბიოგრაფიებში ვან გოგი, მეორეა ფიროსმანის შემდეგ. საოცარი მისტერია: სოფლიდან არიან. მათ მშობლებს არანაირი შეხება არ აქვთ ხელოვნებასთან. ბავშვობიდან მამითა და დედით ობლები. და რადგან წლების მანძილზე, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება, გარდაცვალებამდე, თავის ლუკმაპურს მდიდარი თბილისელების მომსახურებით შოულობდა, როგორც მღებავი და ვინ იცის კიდევ რა, ე. ი. არარაობა. როგორც დღეს ერთი ვინმე პაკისტანელი, რომელიც შუქნიშანზე დგას და საქარე მინას წმენდავს, ჰეი, აიღე 30 ცენტი!

1910 წელს, ფიროსმანის შედევრებით აღფრთოვანებულმა რუსმა პოეტმა მიხაილ ლე დადრუმ გაზეთში გამოაქვეყნა მის შესახებ. ნიკოს არ მიუნიჭებია ამისთვის დიდი მნიშვნელობა. თავის ნაჭუჭში, ჩაიკეტა. სამი წლის შემდეგ გაზეთ „მოსკოვსკაია გაზეტაში“ შემდეგი გამოხმაურება მოჰყვა. 1916 წელს ახლად შემდგარმა ქართველ მხატვართა საზოგადოებამ მას კარი გაუღო. „დიდი ხელგაშლილობა“. ნიკომ მათ აჩვენა თავისი შემოქმედების რამდენიმე ბრილიანტი, „ზდანევიჩის პორტრეტი“ „ქართული ქორწილი“ რომელთაც ერთ-ერთი აკადემიკოსი არაკომპეტენტურად შეაფასებს, რაც ნიკოს ისევ თავის თავში ჩაკეტავს. ასეთი უსარგებლონი? იარაღის ქვეშაც არ დავთმობ. შემდეგ, შემთხვევითი შეხვედრა ფრანგ მოცეკვავე ქალთან, „გულის შეტევა“, თავის ოცნებაში შექმნა სიყვარულის ისტორია, ზღაპარი სინამდვილისა. „სიგიჟე“ – სასტუმრო, სადაც მსახიობი ცხოვრობდა, ასობით ვარდით შემოსა. თავისი საბადებელი ვარდებში გადაიხადა. ეს ამბავი იმდენად ამაჩუყებელია, ლეგენდასავით შემორჩა, მასზე შექმნილია სამიჯნურო სიმღერა „მილიონი წითელი ვარდი“. რა მოხდა შემდეგ? მას გაიცნობს ფრანგული კულტურა... მუზეუმები მის ნახატებს მასპინძლობენ და პაბლო პიკასო (1881-1973) ფიროსმანის პორტრეტის სკიცოს ხატავს, აღიარება სიკვდილის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ეს მისთვის უმნიშვნელო იქნებოდა. რაც შექმნა, შექმნა თავისი სულისთვის. დანარჩენი ყველაფერი წარმავალი, დეკორი უმნიშვნელო და ზედმეტია.

„უკანასკნელნი ჩემ გულში პირველნია“...

**ნინო ბაჯელიძე,**
**ათენი.**

---

საქმე №3/31

# განჩინება

## საქართველოს სახელით

26 აგვისტო 2010 წელი ქ. სენაკი

## სენაკის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე ავთანდილ ჭანტურია**
**სხდომის მდივანი: ლელა საბახტარიშვილი**

**მოსარჩელე:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
**წარმომადგენელი:** გიორგი კვაჭანტირაძე
**მოპასუხე:** ლერი დგებუაძე
**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება

**განიხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გიორგი კვაჭანტირაძის განცხადება პუბლიკაციის საჯარო შეტყობინების შესახებ.**

**გამოარკვია:**

2010 წლის 10 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სენაკის რაიონულ სასამართლოში აღძრული იქნა სასარჩელო განცხადება მოპასუხე ლერი დგებუაძის მიმართ თანხის დაკისრების, ზიანის ანაზღაურების, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

**მოსარჩელე ითხოვს:**

- მოპასუხე ლერი დგებუაძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის სახით 20664 ლარის, ზიანის ანაზღაურების სახით 7914,72 ლარის და პირგასამტეხლოს გადახდა 6199.2 ლარის ოდენობით, დაუბრუნებელი სანივთე ქონების დავალიანების ეკვივალენტის დაკისრება ნატურით.
- სარჩელს ერთვის შემდეგი მტკიცებულებები: ა) კონტრაქტი (ხელშეკრულება), ბ) მესამე ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი, გ) ცნობა სამხედრო მოსამსახურის ხელფასის ოდენობის შესახებ, დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანება №677, დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №91.

მოპასუხე ლერი დგებუაძეს სარჩელის გზავნილი და სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა საფოსტო შეტყობინების მიხედვით, მოპასუხე სენაკის რაიონში არ იმყოფება. მოპასუხის ალტერნატიული ადგილსამყოფელი უცნობია.

2010 წლის 26 აგვისტოს ადმინისტრაციულ საქმეზე ჩატარდა სასამართლო სხდომა, სადაც მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოპასუხისათვის განხორციელდეს შეტყობინების საჯაროდ გავრცელება, რის ხარჯებსაც გაიღებს მოსარჩელე მხარე.

ვინაიდან, მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილისა და სასამართლო უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებით შეიქმნა გარკვეული სირთულეები, და სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილია მოპასუხეს საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ ეცნობოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით, რომლის ხარჯებიც ამ ეტაპზე უნდა გაიღოს მოსარჩელემ.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. მოპასუხის საცხოვრებელ ადგილას გავრცელებული მასობრივი ინფორმაციის – გაზეთის საშუალებით გავრცელდეს სენაკის რაიონული სასამართლოს საჯარო შეტყობინება შემდეგი შინაარსით:

„მოპასუხე ლერი დგებუაძე (მცხ. ქალაქი სენაკი, აგროეკონომიური კოლეჯი), გაცნობებთ, რომ 2010 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ აღძრულ იქნა სასარჩელო განცხადება ლერი დგებუაძის მიმართ თანხის დაკისრების, ზიანის ანაზღაურების, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

**მოსარჩელე ითხოვს:**

– მოპასუხე ლერი დგებუაძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის სახით 20664 ლარის, ზიანის ანაზღაურების სახით 7914,72 ლარის და პირგასამტეხლოს გადახდა 6199.2 ლარის ოდენობით, დაუბრუნებელი სანივთე ქონების დავალიანების ეკვივალენტის დაკისრება ნატურით.

– სარჩელს ერთვის შემდეგი მტკიცებულებები; ა) კონტრაქტი (ხელშეკრულება), ბ) მესამე ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი, გ) ცნობა სამხედრო მოსამსახურის ხელფასის ოდენობის შესახებ, დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანება №677, დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №91.

მოპასუხეს შეუძლია სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები მიიღოს სასამართლოში – მისამართზე: ქ. სენაკი, რუსთაველის ქუჩა №247, საკონტაქტო პირი თემურ ჩიტაია.

პუბლიკაცია ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნების მეშვიდე დღეს.

მოპასუხე ვალდებულია საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში წარმოადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე.

შესაგებლის დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება“.

2. სასამართლოს მომდევნო მთავარი სხდომა დაინიშნოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 სამუშაო დღეს.

3. სასამართლოს საჯარო შეტყობინების გაზეთის საშუალებით გავრცელება, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურება და სათანადო მტკიცებულების სასამართლოში წარმოდგენა დაევალოს მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

4. განემარტოს მოსარჩელეს, რომ საჯარო პუბლიკაციის განუხორციელებლობის შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართის უზუსტობის გამო შესაძლებელია გამოტანილი იქნას განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

5. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ა. ჭანტურია**

**მადლობა ევროპას!**

# თბილისს ნდობა გამოუცხადეს

**ის, რაც 27 ნოემბერს ბელგრადში მოხდა, უპირველესად ჩვენი ეროვნული ფასეულობების, ადათ-წესების, ცხოვრების სტილის, ტრადიციების დაფასებაა და უკანასკნელ რიგში — მმართველი „ნაც-შპანისა“ და მისი სატელიტი ხელოვან-სპორტსმენების დამსახურება.**

ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის ჩეხეთის ქალაქი ბრნო ზედიზედ მესამედ ცდილობდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლების მოპოვებას, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა — თურქული ტრაბზონისა და ჰოლანდიური უტრეხტის შემდეგ ეს ცოდვა თბილისმა დაიდო.

კონტინენტის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების 39-ე გენერალური ასამბლეის 49 სახელმწიფოს დელეგატთაგან 26 ხმა საქართველოს დედაქალაქმა მიიღო, 21 მისმა ღირსეულმა კონკურენტმა, ხოლო ორმა თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი „პატრონების“ — საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და იტალიის მსგავსად, ნდობა „მტერმა“ რუსეთმაც გამოგვიცხადა. მოდი და ამის შემდეგ ნუ ირწმუნებ ძველ შეგონებას — ხელი ხელს ჰბანსო — თავის დროზე ხომ ვარდყვავილოვანი ხელისუფლების ლიდერიც მიესალმა სოჭი — 2014-ის იდეის გამარჯვებას.

რაც შეეხება სერბეთში გამართული ღონისძიების ოფიციალურ ნაწილს, კანდიდატებს პრეზენტაციისთვის 25-25 წუთი დაეთმოთ. ასამბლეას უშუალოდ დარბაზიდან მიმართეს თბილისის მერმა გიგი უგულავამ და სახელმწიფო მინისტრმა გია ბარამიძემ, ხოლო ვიდეოჩართვით — თვით უმაღლესმა მთავარსარდალმა. ჰოდა, ამის შემდეგ რაღა მოსატანია ფოლკლორული ელემენტები, თბილისის სპორტული ინფრასტრუქტურისა და ზოგადად ქალაქის ღირსშესანიშნაობათა შესახებ შექმნილი კლიპები, დუეტ „ჯორჯიას“ მიერ ცოცხლად შესრულებული სპეციალურად „თბილისი — 2015“-ისთვის შექმნილი სიმღერა.

დავძენთ, რომ მომავალი ფორუმისთვის ახალგაზრდული ოლიმპიური სოფლის აშენება აშშ-ს საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზეა ნავარაუდევი. რაღა გვიჭირს.

**გია პლატონიშვილი**

**რაგბი**

# მსაჯსაც აჯობეს



**ვერ გეტყვით, რა დაუშავეს ქართველმა მორაგბეებმა შოტლანდიელ მსაჯს პიტერ ალენს, მაგრამ ვარაუდს კი გამოვთქვამთ: ეტყობა, მას რაიმე პირადული ხასიათის პრობლემა აქვს „ბორჯღალოსანთა“ თანამემამულე თავკაც რიჩი დიქსონთან.**

სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის გადაწყვეტილებები, რომლებმაც ლამის დაგვათმობინა უმნიშვნელოვანესი ტესტ-მატჩი ამერიკელებთან.

საფიქრებელია, რომ ბრიტანელის არაკეთილმოსურნეობა ჩვენი გუნდის წევრებმა თავიდანვე გაშიფრეს, რამაც ისინი კიდევ უფრო აანერვიულა და სათამაშო სქემა დაურღვია. კიდევ კარგი, ბიჭები კრიტიკულ ვითარებაში გონს მოეგნენ და უკანასკნელ წუთზე დადებული ლელოთი რევანში აიღეს შარშან ჩერჩილის თასზე დამარცხებისთვის — 19:17.

ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები საერთაშორისო რეიტინგში მე-15 პოზიციამდე აღზევდა.

ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ 20-ათასიან აუდიტორიასთან „ბორჯღალოსნები“ ასეთი შემადგენლობით წარსდგნენ: ხამაშურიძე, მაჩხანელი (სამხარაძე), ჩხიკვაძე (კაჭარავა), ზიბზიბაძე, გუგავა, მალაღურაძე (კვირიკაშვილი), აბუსერიძე, შველიძე (ზირაქიშვილი), გიორგაძე (ნატროშვილი), ქუბრიაშვილი (შველიძე), სუთიაშვილი, დათუნაშვილი (ნემსაძე), მაისურაძე, ჩხაიძე, უდესიანი (კოლელიშვილი).

**1 ლელო: გუგავა.**

**1 გარდასახვა: კვირიკაშვილი**

**4 ჯარიმა: მალაღურაძე (3), კვირიკაშვილი.**

**1 გაძევება: აბუსერიძე**

**ფეხბურთი**

# აქეთურ-იქითური



**XXII ეროვნული ჩემპიონატი. XVI ტური.** „დინამო“ — „სიონი“ 2:0 (ვაწაძე, ლექვთაძე), „ზესტაფონი“ — „სამტრედია“ 7:0 (გელაშვილი — 3, წინამძღვრიშვილი — 2, დვალი — 2) „ოლიმპი“ — „კოლხეთი“ 2:0, „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:1, „ცხინვალი“ — „ბაია“ 2:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ — 33, „ზესტაფონი“ —31, „დინამო“ — 29, „ვიტ ჯორჯია“ — 22, „სიონი“ — 21, „ბაია“, „ტორპედო“ — 19-19, „სამტრედია“ — 18, „კოლხეთი“ — 16, „ცხინვალი“ — 13 ქულა.

**ბომბარდირი:** მოდებაძე („ოლიმპი“) — 9 გოლი.

**იტალია.** „სამპდორია“ — „მილანი“ 1:1, „ინტერი“ — „პარმა“ 5:2, „იუვენტუსი“ — „ფიორენტინა“ 1:1, „პალერმო“ — „რომა“ 3:1.

**ესპანეთი.** „სარაგოსა“ — „ვილიარეალი“ 0:3, „ვალენსია“ — „ალმერია“ 2:1, „სევილია“ — „ხეტაფე“ 1:3, „ატლეტიკო“ — „ესპანიოლი“ 2:3.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ — „ბლექბერნი“ 7:1, „ასტონ ვილა — „არსენალი“ 2:4, „ნიუკასლი“ — „ჩელსი“ 1:1, „ტოტენჰემი“ — „ლივერპული“ 2:1.

**გერმანია.** „ბორუსია“ — „გლადბახი“ 4:1, „ჰოფენჰაიმი“ — „ლევერკუზენი“ 2:2, „ბაიერნი“ — „აინტრახტი“ 4:1, „კაიზერი“ — „შალკე“ 5:0.

**კალათბურთი**

# იკითხეთ წესები!

**ფიბა-ევროპის მიერ საკალათბურთო წესებში შეტანილი ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, მსაჯს უფლება ეძლევა, ამა თუ იმ პერიოდის ბოლო წამებზე მოითხოვოს ვიდეოგამეორება, რათა გაარკვიოს, ვთქვათ, ბურთი სირენამდეა ნატყორცნი თუ სირენის შემდეგ.**

ეს სიახლე გამახსენდა, როცა სუპერლიგის V ტურში აქამდე დაუმარცხებელ შსს-ს გუნდს ქუთაისელებთან უმძიმეს ბრძოლაში შემწეებად მსაჯები ზაზა მაჩალაძე და მაკა კუპატაძე მოევლინენ.

სადავო სიტუაცია ძირითადი დროის მიწურულს 77:77-ზე შეიქმნა ძალოვანთა ფარქვეშ ბრძოლისას. ამ ეპიზოდში ზაზამ მასპინძელთაგან წესების დარღვევა შენიშნა და ბარბაქაძეს საჯარიმოები უნდა ეტყორცნა, მაგრამ მაკამ ჩათვალა, რომ დრო უკვე ამოწურული იყო და ოვერტაიმი დანიშნა.

დემორალიზებულმა სტუმრებმა ამის შემდეგ ძალების მოკრება ველარ შეძლეს და დამარცხდნენ — 86:90, თუმცა უპირველესად საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ, რადგან ის 10-ქულიანი უპირატესობა გაანიავეს, სამი წუთით ადრე რომ ფლობდნენ. მათი წარუმატებლობა მნიშვნელოვანწილად ძირითადი გამთამაშებლის კვიმსაძის მეხუთე პერსონალურმა შენიშვნამაც განაპირობა, რომელიც პარტნიორებს 35-ე წუთზე გამოაკლდა.

ამ გამარჯვებით არჩილ ჟღენტის შეგირდები ერთპიროვნულად ჩაუდგნენ სათავეში სატურნირო ცხრილს, რადგან კიდევ ერთმა ლიდერმა თსუ-მ პირველი, თანაც მწარე მარცხი იგემა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „ენერჯი ინვესტისგან“ — 74:90.



**დანარჩენი შედეგები:** „სოხუმი“ — „დინამო“ 91:70, „არმია“ — „სასოფლო“ 111:68, „ბათუმი“ — სტუ 91:86.

**დღეს ითამაშებენ:** „სოხუმი“ — „ბათუმი“ (12 სთ), „არმია“ — თსუ (14 სთ), თსსუ — „დინამო“ (16 სთ, ქუთაისი — „სასოფლო“ (16 სთ, ქუთაისში), სტუ — შსს (18 სთ).

**თავისუფალი ჭიდაობა**

# როცა ვნებები დაცხრა

**თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე დღეს, სასტარტოსგან განსხვავებით, მოვლენები შედარებით მშვიდად განვითარდა. გაუწყებთ საპატიო კვარცხლბეკზე ასულთა ვინაობას.**

**84 კგ**

1. დავით მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა), 2. ბექა ჭელიძე (აჭარა), 3. არჩილ ქიტიაშვილი (გურჯაანი) და ირაკლი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა). აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

**96 კგ**

1. ბელდუხ გავაშელიშვილი (თბილისი), 2. ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი), 3. დავით ქერაშვილი (სტეფანწმინდა) და ლერი ქეთიშვილი (თბილისი).

**120 კგ**

1. დავით მოძმანაშვილი (თბილისი), 2. ლევან ბერიანიძე (თბილისი), 3. გიორგი საკანდელიძე (თბილისი) და გიორგი ნიკურაძე (თბილისი).

შეგახსენებთ, რომ ამ წონის რჩეული ხალიჩას დოპინგის გამოყენებისთვის დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა.

**ინტერნეტიდან**

## გარდაიცვალა ვლადიმერ მასლაჩენკო



**ფეხბურთის გულშემატკივრებმა დიდი წუხილით შეიტყვეს, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეკარე და კომენტატორი ვლადიმერ მასლაჩენკო. მან თავი გამოიჩინა არა მხოლოდ საფეხბურთო მინდორზე, არამედ მის გარეთაც — ცისფერ ეკრანზეც.**

ვლადიმერ მასლაჩენკო იყო სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან 60-იანი წლების პირველ ნახევრამდე საუკეთესო მეკარე. მან ყოფილ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე 315 მატჩში მიიღო მონაწილეობა: 1957 წელს ჩაირიცხა სსრ კავშირის ნაკრებში. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სამგზის თასის მფლობელი მოსკოვის „სპარტაკის“ შემადგენლობაში, 1958 ითამაშა წელს მსოფლიო ჩემპიონატზეც.

საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ დაიწყო ჟურნალისტობა. 1970 წლიდან 1991 წლამდე იყო საკავშირო რადიოსა და ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორი. სიცოცხლის ბოლო დღემდე კი ტელეარხის „НТВ Плюс — футбол“ კომენტატორი.

სპეციალისტთა განცხადებით, მასლაჩენკო იყო უმაღლესი დონის კომენტატორი. მან ქართველ გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა წინადადებით: „Кипиани играет в стиле Гаврилова“.

## ფედერერი — მეხუთედ!

**ლონდონში დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა დასკვნითი ტურნირი — ATP World Tour Finals-2010, რომლის საპრიზო ფონდი 5070 000 გირვანქა სტერლინგი იყო.**

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი, ესპანელი რაფაელ ნადალი პირველად გავიდა ასეთი ტურნირის ფინალში, სადაც ის დაუპირისპირდა იქ უკვე მეექვსედ გასულ და ოთხჯერ გამარჯვებულ შვეიცარიელ როჯერ ფედერერს. მან აქ გაიმარჯვა 2003, 2004, 2006 და 2007 წლებში. ამჯერადაც ფედერერმა წარმატებით იასპარეზა და სძლია თავის „შეურიგებელ“ მეტოქეს ანგარიშით 6:3, 3:6, 6:1.

ამრიგად, „დიდი მუზარადის“ 16-გზის გამარჯვებულმა მეხუთედ მოიპოვა ეს საპატიო ტიტული. აქამდე დასკვნით ტურნირებში ასეთი წარმატება ჰქონდათ ივან ლენდლსა და პიტ სამპრასს.

ლონდონში გამარჯვებისთვის ფედერერმა გამოიმუშავა მილიონ 630 ათასი დოლარი, ხოლო ნადალი მიიღებს 740 ათასდოლარიან ჩეკს.



## ხსოვნა

# ლამარა ნოზაძე



ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქალბატონი ლამარა ნოზაძე.

ლამარა მელიტონის ასული ნოზაძე დაიბადა 1928 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მან 1947 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის მე-4 ქალთა სკოლა, ხოლო 1952 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წელსვე, ლ. ნოზაძე ჩაირიცხა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ლექსიკოლოგიის სპეციალობით; 1956 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობის საკითხი ქართულში“.

1956 წლის 1 ოქტომბრიდან ლ. ნოზაძე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია, 1969 წლის 1 ივლისიდან კი – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1997 წლიდან 2005 წლამდე ლ. ნოზაძე იყო ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

ლ. ნოზაძე არის ავტორი 118 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება. მათმა ნაწილმა თავი მოიყარა 2008 წელს გამოცემულ ორ წიგნში: „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“, „ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემები“. ლ. ნოზაძე არის „ქართლური დიალექტის ლექსიკონის“ (თბ., 1981ძ ერთ-ერთი შემდგენელი.

ქალბატონი ლამარა მთელი თავისი სიცოცხლე ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მოღვაწეობდა. 1956 წლიდან მოყოლებული იგი მონაწილეობდა განყოფილებაში მიმდინარე თითქმის ყველა სამუშაოში: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VII (1962ძ და VIII (1964ძ ტომების შედგენაში (სიტყვების განმარტება, განმარტებული მასალის პირველადი რედაქცია, რედაქტირებული მასალის რეცენზირება...ძ; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულის (1986ძ მომზადებაში (სარედაქციოდ შეამზადა 2700 სიტყვა-სტატიაძ; „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიისა (1973ძ და ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ ინვერსიული საძიებლის (1979ძ შედგენაში.

მ. ჭაბაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1997 წლიდან, ლ. ნოზაძემ ითავა „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ შემდგენელი ჯგუფის ხელმძღვანელობა და რედაქტორობა; უკვე გაუკეთა რედაქცია 6000-მდე სინონიმურ მწკრივს (60000-მდე სინონიმურ ერთეულსძ. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ მნიშვნელოვანი ლექსიკონის დასრულება...

ქალბატონი ლამარა ნოზაძე მუდამ იძლეოდა საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების მაგალითს, იგი იყო პირუთვნელი შემფასებელი ყველასი – ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც. მისი ხსოვნა და ნაღვაწი მუდამ იცოცხლებს კოლეგებისა და მეგობრების გულში.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## გახსენება

# უსაზღვრო სევდა

### ეთერ რუხაძე-გეგეშიძე



ვერა და ვერ განკურნა დრომ არსთა გამრიგის სტუმრობით შენი ოჯახის წევრების გულში ჩაწოლილი ვარამი. შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ყველა – ყველა, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც არ გივიწყებს, სადაც სტომატოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, შენ ათეული წლები მუშაობდი პედაგოგად, დაიცავი საკანდიდატო დისერტაცია, გამოაქვეყნე სამეცნიერო შრომები.

შენს ხსოვნას მიეძღვნა გამომცემლობა „უნივერსალში“, „უნიტასსა“ და „მერმისში“ დასტამბული წიგნები. მათში ფართოდ არის გაშუქებული შენი, როგორც ოჯახის ბურჯის ცხოვრება, უდიდესი ღვაწლი და ულევი კეთილი საქმე. რაც მთავარია, ადამიანების მიმართ აღვლენილი დიდი სიყვარული, ურომლისოდაც, როგორც პოეტთა მეფე ბრძანებს: „მზეც არ სუფევს ცის კამარაზე“. ამ ღვთიური გრძნობის გარეშე, ჩვენო უძვირფასესო ეთერ, ერთი წამითაც არ გიცხოვრია.

შენი მარადიულ სამყოფელში
გამგზავრების ოთხი წლისთავის გამო
**ბიძინა გეგეშიძე**

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მოსამართლე იური ტყეშელაშვილს შვილის
დავით ტყეშელაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის კომპანიების „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თემურ ბუცხრიკიძეს დედის
ლილი საყვარელიძე-ბუცხრიკიძის
გარდაცვალების გამო.

---

შპს „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის დამსახურებული მუშაკი, ამ კომპანიის მონტიორი
ნუგზარ აფციაური
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს და მის ახლობლებს.

---



ოთარ ქვილითაია, გურამ გვეტაძე, ჯემალ მიქელაძე, ნიკო ლეკიშვილი, თამაზ სულუხია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დავით აღმაშენებლის გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების თავმჯდომარის, გაზეთ „მეფეთუბნის“ რედაქტორის
ვაჟა სალუქვაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს, ჩვენი საბჭოს დიდ ქველმოქმედსა და აქტიურ წევრს ქალბატონ გულნარა სტურუას მეუღლის – საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, II მსოფლიო ომისა და შრომის ვეტერანის, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილის, ორგზის ორდენოსნის, ღირსების ორდენის კავალრის
ალექსანდრე გიგინეიშვილის
გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 30 XI, 1 XII, 17 სთ. დაკრძალვა 2 XII, 14 სთ. მისამართი: ფალიაშვილის, 81.

---

დეიდაშვილები ჯიმი, მურთაზ, ლალი მიქელაძეები, ლამარა პაპავა, ვიოლეტა ლეჟავა, ჯუნი, ვალერი მხეიძეები, ბიძაშვილები გულერი, ნუნუ, ნინი ჩხეიძეები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მედეა დავითის ასული ლორთქიფანიძე
დაკრძალვა 2 XII, 15 სთ. ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის 7.

---

## ყურადსაღებად!

# როგორი დეკემბერი გველის?



**მინიმუმების დღეებში გრაფიკით: 3, 9, 11, 16, 19, 23 და 24-ში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალთა დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დრო.**

**თვის დაძაბული დღეებია: 1 (16-18), 5 (20-22), 7 (01-03), (10-11), 11 (14-16), 13 (17-19), 14 (19-21), 00-02), 21 (06-12), 28 (06-09), 29 (00-03).**

**დეკემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1, 7-10, 13-17, 20-23, 28-30-ში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

1 – მთვარე-სატურნის შეერთება, მერკური გადადის თხის რქის ნიშანში. შესაძლებელია დეპრესია, უყურადღებობა, თირკმელებისა და სასუნთქი ორგანოების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ძვლებსა და სახსრებში, ხელების ტრავმები. სასარგებლოა ურთიერთობა იქონიოთ გამოცდილ და მოწიფულ ადამიანებთან, ნათესავებთან და თანამოაზრეებთან. რეკომენდებული არ არის სიმძიმეების აწევა, ახალი გეგმებისა და საქმეების წამოწყება. ერიდეთ გაციებას, ტრავმატიზმს, ფრთხილად იყავით ტრანსპორტში მგზავრობის დროს.

2 – მთვარე-ვენერის შეერთება. შესაძლებელია თირკმლების დაავადებათა გამწვავება, სახსრების ტკივილები, ანგინა, ინფექციური დაავადებანი. ერიდეთ გაციებას. შეგიძლიათ ასიამოვნოთ თავს საყიდლებით მეურნეობისთვის, ახალი კოსმეტიკით, მორთულობებით, ტანსაცმლით.

5 – ახალი მთვარე. სავარაუდოა: ნევრალგია, რევმატიზმი, ტკივილები თითქოს სახსრებში და ღვიძლის, ვენებისა და სისხლის დაავადებანი. რეკომენდებული არ არის მძიმე და ცხიმიანი საკვების მიღება, ახალი საქმეების წამოწყება. ხელსაყრელი დროა გადაწყვეტილებების, სამეცნიერო მუშაობისთვის, ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისთვის.



7– მთვარის შეერთება მარსთან, პლუტონთან და მერკურთან. არ არის გამორიცხული უმართავი ვნებანი, უცნაური იდეები, თავის და კბილის ტკივილები, ცუდი ძილი, ოსტეოქონდროზის, ნევრალგიის გამწვავება, შარდსადენი ორგანოების დაავადებანი. ერიდეთ ტრავმატიზმს, დამწვრობასა და ხელის გაჭრას, ცუდად მოფიქრებულ მოქმედებებს, კონფლიქტურ სიტუაციებს. ფრთხილად იყავით ტრანსპორტში მოგზაურობის დროს.

11 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება. არ არის გამორიცხული გულმავიწყობა, უყურადღებობა, გონებრივი და ფსიქიკური მოშლილობა, გაზრდილი მგრძნობელობა წამლებისადმი და საყოფაცხოვრებო ქიმიისადმი. შესაძლებელია სისხლის, თვალის დაავადებანი, ტკივილები სახსრებსა და ფეხებში. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოწამვლებს, ქურდობას და მოტყუებას, ნუ გადატვირთავთ თვალებს, ფეხებს. სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, შემოქმედებითი აქტივობა, ფიზიკური ვარჯიშები.

13 – მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარის აპოგეა, მთვარე-იუპიტერის შეერთება. არ არის გამორიცხული ღვიძლის დაავადებანი, ფსიქიკის დარღვევა, დაავადებანი დიეტის დაუცველობის გამო, ტკივილები ფეხებში, შესიება, რეკომენდებულია უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ყავაზე, სპირტიან სასმელებზე. სასარგებლოა გამწმენდი პროცედურები, ტერფების მასაჟი, ხელსაყრელი დროა საქმეების დაწყებისა და დამთავრებისთვის, შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

14 – მთვარე-ურანის შეერთება. შესაძლებელია გაღიზიანება, აფეთქება და მოუთმენლობა. არ არის გამორიცხული უძილობა ძლიერი აღგზნების გამო, ცუდად გაკონტროლებული ემოციები, დაულაგებელი აზრები, ყურადღების გამახვილების შეუძლებლობა და გადაწყვეტილებათა მიღების სირთულე. შეიძლება შეგაწუხოთ თავის, კბილების, თვალების დაავადებებმა, სმენის მოშლილობამ. დღეს რეკომენდებული არ არის თმის გაკრეჭვა, მკურნალობა, ზედა კბილების პროტეზირება ან ამოღება. ერიდეთ დაცემას, ფრთხილად მოეპყარით ცეცხლს. ხელსაყრელია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, გასეირნება სუფთა ჰაერზე, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები.

21 – სავსე მთვარე, მთვარის დაბნელება, დაძაბული მთვარის ასპექტები. შესაძლებელია ფსიქოპათური და არაადეკვატური რეაქციები, დაბნეულობა, უყურადღებობა, გაზრდილი მგზნებარება ალკოჰოლისა და სამკურნალო პრეპარატებისადმი, ღვიძლის, საკვების გადამმუშავებელი სისტემის დაავადებათა გამწვავება, სასუნთქი ორგანოების, ენდოკრინული მოშლილობა, ტკივილები ხელებსა და ტერფებში, ფეხების შესიება. გადადეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. ხელსაყრელი დროა სახლისა და დასვენების კეთილმოწყობისთვის.

28 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, დაძაბული მთვარის ასპექტები. შესაძლებელია იმპულსიურობა, აგრესიულობა, გაღიზიანება, ეჭვიანობა. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, შარდსადენი და სასქესო სფეროების დაავადებათა გამწვავება, გასტრიტი, ჰემოროი. რეკომენდებულია ამოვიღოთ ცხიმიანი და ცხარე საკვები, დიეტის დაცვა. ერიდეთ ტრავმატიზმს, თვითკონტროლის დაკარგვას, სიმკაცრეს, სტრესებს. ხელსაყრელი დროა დაწყებული საქმეების დამთავრებისთვის.

29 – მთვარე-სატურნის შეერთება. შესაძლებელია დათრგუნვის გრძნობა, უკმაყოფილება თავისი თავისა და გარემო პირობებისადმი, პრობლემები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის უფროს წევრებთან. მოსალოდნელია გონებრივი მოშლილობა, თირკმელებისა და ოსტეოქონდროზის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, რადიკულიტი, კანის სიმშრალე. რეკომენდებულია გამოვრიცხოთ ალკოჰოლი, ცხარე და მარილიანი საკვები, ერიდეთ გაციებას თირკმელებისა და შარდის ბუშტის მიდამოებში, ნუ ასწევთ სიმძიმეებს. არ არის სასურველი გეგმების წამოწყება და პასუხსაგები გადაწყვეტილებების მიღება.

გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე" ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა".



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის" ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე" – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე" – 93-38-75; „პრესექსპრესი" – 96-23-11; „ელვასერვისი" – 38-80-02; „ჯეომედია" – 95-51-70; „საქპრესა" – 51-59-05; „საქპრესა+" 51-57-43; „ინფო"-2007 – 34-11-40; „პრეს+" 14-23-97.

## ◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ჰოლანდიის დედაქალაქი ამსტერდამია, თუმცა ყველა სამთავრობო დაწესებულება ქალაქ ჰააგაშია განლაგებული.

● ოთხი ყველაზე გრანდიოზული და სახელგანთქმული ხომალდი კაცობრიობის ისტორიაში ზღვის ფსკერზეა. ქრისტეფორე კოლუმბის საფლაგმანო ხომალდი „სანტა-მარია" სიგრძნით – 23, სიგანით – 7 მეტრი იყო; მოცულობა 237 ტონა, ეკიპაჟი – 90 კაცი. 1492 წლის ექსპედიციის დროს ხომალდი რიფზე შეჯდა და კუნძულ ჰაიტის ახლოს ჩაიძირა.

● 1904 წლის 27 იანვარს რუსული კრეისერი „ვარიაგი" და მასთან ერთად სამხედრო ნავი „კორეელი" შემთხვევით გადაეყარნენ იაპონელების ესკადრას ჩემულპოს უბესთან. იაპონელებმა „ვარიაგს" დანებება მოსთხოვეს, მაგრამ კრეისერი ბრძოლაში ჩაება და იაპონელებმა ის ჩაძირეს.

● „ტიტანიკი" ყველაზე დიდი სამგზავრო ხომალდია. XX საუკუნეში მსგავსი მასშტაბების მქონე ხომალდი არ აგებულა. დაიღუპა პირველივე რეისის დროს, 1912 წლის 14 აპრილს, ღამით. ოფიციალური ვერსიით, ის აისბერგს შეეჯახა. დაღუპულთა რიცხვმა 1517 კაცი შეადგინა. ჩაძირული ხომალდი მხოლოდ 1985 წელს აღმოაჩინეს ნიუფაუნდლენდიდან 800 კილომეტრის დაშორებით.

● „ამსტერდამი" – უზარმაზარი ხომალდი სიგრძნით – 43, სიგანით კი 12 მეტრი იყო. აიგო ამსტერდამში, 1745 წელს. მისი პირველივე გასვლა ოკეანეში მარცხით დასრულდა – „ამსტერდამი" ქარიშხალში მოყვა, დაუზიანდა საჭე და მთელი წლის განმავლობაში იდგა ინგლისის პორტში. როგორც კი კაპიტანმა გადაწყვიტა გაშლილ ზღვაში გასვლა, „ამსტერდამი" ფსკერისკენ წავიდა. ლეგენდის მიხედვით ის მეკობრეთა სულებმა ჩაძირეს.

● გამოქვაბულებში პირველყოფილი ადამიანის შექმნილი ბევრი ფერადი ნახატია აღმოჩენილი. რადგან ძველ ადამიანებს ამ ნახატებში ორი ძირითადი ფერი არა აქვთ გამოყენებული, მეცნიერების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მათი თვალი ვერ აღიქვამდა იმ ფერებს, მეორენი კი ფიქრობენ, რომ ამ ფერის საღებავების მოპოვება იყო რთული ან სულაც შეუძლებელი – ეს ფერებია მწვანე და ლურჯი.

● 1792 წლის 25 მარტს საფრანგეთში მიიღეს „ჰუმანური" გადაწყვეტილება ადამიანის გილიოტინაზე დასჯის შესახებ და მისი პირველი მსხვერპლი ქურდი ნიკოლა პელეტიე იყო.

● IX საუკუნეში მორავიელებმა, ჩეხეთის მთიანეთის ხალხმა, ბიზანტიელებს სთხოვეს, გაეგზავნათ მათთვის მასწავლებლები, რათა მშობლიურ ენაზე გადაეთარგმნათ საღვთისმეტყველო წიგნები. ბიზანტიიდან მორავიაში ორი ბერძენი ჩავიდა. ერთ-ერთს კონსტანტინე ერქვა. მათ ბიზანტიურ ალფაბეტს ასოები დაამატეს და ახალი ანბანი შექმნეს. ჩვენ მათ ვიცნობთ როგორც კირილესა და მეთოდეს.

● ყველასათვის ცნობილ ცირკის ერთ-ერთ წრეში მეორე წრეა, რომლის დიამეტრი ზუსტად 13 მეტრია.

● XIX საუკუნის პარიზის ქუჩებში ნახავდით მინის ყუთებს, რომლებშიც სალაპარაკო მოწყობილობა იყო დამონტაჟებული. მოწყობილობა რომ გამოეყენებინათ, მინა უნდა ჩაემტვრიათ, დღეს კი, ხანძრის დროს, ტელეფონზე კრეფენ 01-ს.

● 1780 წელს ინგლისელმა უილიამ ედისმა ძუის კონა ძვლის ჩხირზე დაამაგრა და მიიღო... კბილის ჯაგრისი.

● ერთმა რუსმა ბაცაცამ იტალიაში ოთხი ფერმა გაქურდა. ამისთვის მან სპეციალურად შეიძინა ნინძას კოსტიუმი და მასში გამოწყობილი თავს ესხმოდა ფერმერებს. მისმა ხერხმა გაამართლა: ფერმერები ისე შეშინდნენ, რომ მომხდარის შესახებ პოლიციაში არც კი განუცხადებიათ.

შეკრიბა ტიტე კოპალეიშვილმა

## ◉ ინფორმაცია

# ლაგოდეხში ჩუტყვავილა გავრცელდა

ლაგოდეხის რაიონში, საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ჩუტყვავილა გავრცელდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაგოდეხის სამსახურის უფროსმა ნუნუ ნოზაძემ განუცხადა, ულიანოვკისა და შრომის საჯარო სკოლებში დაავადება 14 მოსწავლეს აღმოაჩნდა.

ნუნუ ნოზაძის განცხადებით, ამ სკოლებში უკვე იმყოფებოდნენ ეპიდემიოლოგები და შესაბამისი ღონისძიებები გაატარეს.

– ჩუტყვავილა მეტად რომ არ გავრცელდეს, მოსწავლეები სრულ განკურნებამდე სახლში იქნებიან, – განაცხადა ნუნუ ნოზაძემ. მისივე თქმით, ეპიდემიოლოგები დაკვირვებას სხვა სკოლებშიც ახორციელებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7530 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4083 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8129 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |




## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე)

ვრცელი ფართობი (180 კვ.მ) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +11 |
| ქუთაისი. | +13 – +19 |
| ბათუმი. | +10 – +22 |
| ზუგდიდი. | +10 – +20 |
| თელავი. | +3 – +15 |


## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.


## ◉ ანეკდოტები

– მრავალცოლიანობის შესახებ საქმე შეწყდა, რადგან მოჩივანმა თავისი განცხადება გაიტანა. ბრალდებულო, შეგიძლიათ, ოჯახს დაუბრუნდეთ, – აცხადებს მოსამართლე.

– რომელ ოჯახს, თქვენო ღირსებავ?

* * *

– რატომ?

– იმიტომ.

– უფრო კონკრეტულად?

– იმიტომ, რომ!

* * *

ოლიგარქი მაღაზიაში შევიდა და სამლიტრიანი ქილით შავი ხიზილალა მოითხოვა.



– ცუდად ხომ არ გაგხდით? – მზრუნველად ჰკითხა გამყიდველმა. – გუშინ ერთმა ოლიგარქმა სამ სულზე გათვლით ერთი ქილა იყიდა და მას მერე სულ აღებინებს.

– რას ამბობთ, რა კოშმარია. ორლიტრიანი ქილა გაქვთ?

* * *

ტიპმა ბოთლი იპოვა, გაასუფთავა, საცობი მოხსნა და იქიდან ჯინი ამოძვრა.

– მე ჯინი ვარ და ნებისმიერ სამ სურვილს შეგისრულებ.

– ბევრი ფული მინდა!

შესრულდა.

– ბევრი ქალი მინდა!

ესეც შესრულდა.

– მინდა კიდევ სამი სურვილის შესრულება!

– ო, ეს არ შემიძლია. ერთ ჯინს მხოლოდ სამი სურვილის შესრულება შეუძლია.

– მაშინ კიდევ ერთი ჯინი მინდა!

## ◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.